ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან. შაბათი, 25 იანვარი 1997 №8 (373) ფასი 40 თეთრი

## ახალკაცმა ყიფიანი ვერ დაიყოლია

### ჭეიშვილი თბილისში კვლავ დაიბარეს

### ახალი ვიცე-პრეზიდენტი კი „ჭორის“ უარყოფით იწყებს



გუშინ ფეხბურთის ფედერაციის გაზეთში გამოქვეყნდა ფედერაციის ახალდანიშნული ვიცე-პრეზიდენტის ნოდარ ანდრიაძის ინტერვიუ სათაურით — „პრეზიდენტს ჭეიშვილისთვის ნაკრების მწვრთნელობა არ შეუთავაზებია, ეს ცნობა მხოლოდ ჭორია“. ამ ინტერვიუში „სარბიელში“ გამოქვეყნებული ცნობები ამ საკითხთან დაკავშირებით ჭორად მოინათლა. ახალი ვიცე-პრეზიდენტი ამბობს: „მე ვესწრებოდი მათ საუბარს და დანამდვილებით გეუბნებით, ჭეიშვილისთვის პრეზიდენტს ნაკრების მწვრთნელობა არ შეუთავაზებია.“ ნოდარ ანდრიაძის ნება კია, რას იტყვის, რას მონათლავს ჭორად და რას სინამდვილედ, მაგრამ იქნებ თავად არც შესწრებია ახალკაცის ჭეიშვილთან საუბრის იმ ნაწილს, როდესაც „ბათუმის“ მწვრთნელს ფედერაციის პრეზიდენტი ჩივაძის ადგილის დაკავების შესაძლებლობაზე ესაუბრა. ერთი კი ზუსტად ვიცით — ასეთი საუბარი ნამდვილად გაიმართა, რაც ერთმა მეტად სანდო პიროვნებამ კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა. მისი თქმით, „სარბიელში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია ახალკაცის ჭეიშვილთან შეხვედრის შესახებ სინამდვილეს შეესაბამება და ტყუილი, მით უფრო ჭორი, არ გახლავთო.

ნოდარ ანდრიაძე განმარტავს: „ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხს მხოლოდ ფედერაციის აღმასკომი გადაწყვეტს.“ ამ სიტყვებში ახალი არაფერია. რა ახსნა სჭირდება იმას, რომ ჩივაძის მემკვიდრეს აღმასკომის სხდომაზე დაამტკიცებენ და არა შინაურულ საუბრებში, ისეთებში, როგორიც აქამდე ჰქონდა ახალკაცს 20 იანვარს შოთა ჭეიშვილთან, 22 იანვარს კი დავით ყიფიანთან. ასე რომ, ანდრიაძის ასეთი „საბუთიანობა“ სულაც არ გამორიცხავს ჩვენს ინფორმაციას. ან კი რა მიხვედრა უნდა იმას, რომ ფედერაციის ხელმძღვანელები მხოლოდღა აღმასკომის სხდომაზე არ დაიწყებენ ახალი მთავარი მწვრთნელის კანდიდატურების ძებნა-განხილვას.



ჩივაძის მემკვიდრეზე ფიქრი ფედერაციაში ჯერ კიდევ 18 დეკემბერს დაიწყეს, რადგან მიხვდნენ, რომ ჩივაძისთვის მოსაფიქრებლად მიცემული 20 დღე ფორმალური აქტიღა იყო —, ჩივაძეს წასვლა მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი. კანდიდატურების განხილვა სწორედ იმ დღიდან დაიწყო.

ისე, ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციის უარყოფას ნამდვილად სჯობს, ვიცე-პრეზიდენტმა ან მასთან ინტერვიუს დამბეჭდავმა გაზეთმა თუნდაც ის შეგვატყობინონ, თუ რატომ შეხვდა ახალკაცი დავით ყიფიანს, რომელმაც გუშინ მოსკოვში მყოფმა დაგვიდასტურა ეს ცნობა და თან დასძინა — ნაკრების მწვრთნელობა კი შემომთავაზეს, მაგრამ ჩემი ადრინდელი გადაწყვეტილება არ შემიცვლიაო.

სანდო წყაროებიდან ისიც შევიტყვეთ, რომ ნოდარ ახალკაცმა შოთა ჭეიშვილი კვლავაც დაიბარა თბილისში 1 თებერვალს, როდესაც, სავარაუდოდ, აღმასკომის სხდომა უნდა ჩატარდეს.

წინა „სარბიელში“ ისიც გაცნობეთ, რომ ჭეიშვილის დანიშვნის შემთხვევაში მის თანაშემწედ საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვახტანგ კოპალეიშვილი ივარაუდებოდა. თავად კოპალეიშვილის კომენტარი ჩვენს ამ ინფორმაციაზე მეტად ლაკონური და ნიშანდობლივი გახლდათ — ოფიციალურად ჯერ ასეთი საუბარი არ ყოფილაო. ეს პასუხი თავისთავად არ უარყოფს ჩვენს ცნობას და არც არაოფიციალურ საუბარსა და შეთავაზებას გამორიცხავს. თუმცა, კოპალეიშვილმა მეტის თქმა არ ისურვა.

გუშინვე გაზეთ 11×11-ს ჯონი ჯანელიძემ უთხრა, რომ თუ შესთავაზეს, ნაკრების მწვრთნელობაზე უარს არ იტყვის.

ასეა თუ ისე, ნაკრები ჯერაც უმწვრთნელოდაა, 30 აპრილამდე კი სამი თვე დარჩა.

---

გუშინ „დინამო“ ჩავიდა მოსკოვს, სადაც დღეს ესენგეს ჩემპიონთა თასისთვის ბრძოლაში ჩაებმება. ყიფიანმა 18 ფეხბურთელი იახლა: ჯანელიძე, ლომაია, კუდინოვი, კალაძე, დიდავა, ზვიად ჯელაძე, ზამთარაძე, კვარაცხელია, კიკნაძე, ცქიტიშვილი, კერძევაძე, ყიზილაშვილი, მუჯირი, ჩხაიძე, დემეტრაძე, ხომერიკი, ასათიანი და დავითნიძე.

„დინამო“ მოსკოვში იქაური დროით 14 საათზე ჩაფრინდა. აეროპორტიდან სასტუმრო „კოსმოსისკენ“ ამგზავრებულები საგზაო შეფერხებებმა შეგვაგვიანა და სასტუმროს მხოლოდ 4 საათზე მივაღწიეთ. ფეხბურთელები დაბინავდნენ, ისადილეს, დაისვენეს და 7 საათზე „დინამოს“ მანეჟში სავარჯიშოდ გაემართნენ. გუნდის ექიმ ზაქრო თელიას თქმით, ჯერჯერობით ყველა მოთამაშე ჯანმრთელადაა და თავს კარგად გრძნობს. ყიფიანს ფეხბურთელები ვარჯიშზე დიდად არ დაუტვირთავს, რაც მწვრთნელმა ასე ახსნა — ბევრი მოთამაშე პირველად არის ასეთ ტურნირზე, ამიტომ მირჩევნია, მოედნის საფარს შეეჩვივნონ და ძალები მაქსიმალურად აღიდგინონო. ყიფიანი შეტევაში ოთხი თავდამსხმელით ვარირებას აპირებს, არ არის გამორიცხული, დემეტრაძეს და ხომერიკს ყიზილაშვილი და კერძევაძეც შევუნაცვლოო. ბოლოს მწვრთნელმა დასძინა: მოხდა ისე, რომ მოსკოვში ახალგაზრდული შემადგენლობით ჩამოვედით, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, „დინამო“ მაქსიმუმის მიღწევას ეცდებაო. კლუბთან ერთად არ ჩამოფრენილა მისი ხელმძღვანელობა, ჟორდანია და დანარჩენები დღეს ჩამოდიან მოსკოვს.

მოსკოვში ტურნირის ყველა მონაწილემ მოიყარა თავი, მხოლოდ კიეველები არ ჩანან ჯერ და მათ ყოველ წუთს მოელიან. მოსკოვში ამჟამად 11-გრადუსიანი ყინვაა და ხვავრიელადაც თოვს. ჩვენი დინამოელები პირველ მატჩს დღეს, თბილისის დროით 20 საათზე ითამაშებენ. მეტოქედ ესტონეთის ჩემპიონი, ტალინის „ლანტანა“ ეყოლებათ. ამ ტურნირზე „დინამოს“ არასოდეს აკლდა აქაურ ქართველთა მხარდაჭერა და, როგორც ვატყობ, ახლაც ასე იქნება — დინამოელთა ვარჯიშს ბლომად ქართველები დაესწრნენ და ბიჭები გაამხნევეს.

**მამუკა ქვარაცხელია**
მოსკოვიდან

---



## მალდინი საკი არ არის

იტალიის ნაკრები საქართველოში ჩამოვა. მანამდე ჩვენში ბევრი წყალი და სამი მატჩი ჩაივლის (ინგლისთან, მოლდოვასთან და პოლონეთთან). დღეს, როდესაც ორი თამაში წაგებული გვაქვს და ნაკრები უმწვრთნელოდაა, ცხადია სხვასთან ერთად უპერსპექტივობის გრძნობაც დაგვეუფლა. ეს გრძნობა ძირითადად 9 ნოემბერს ინგლისელებთან უსუსურად ჩატარებულმა შეხვედრამ მოგვგვარა და კიდევ იმისმა ცოდნამ, რომ ჩვენს ჯგუფში ორი უძლიერესი გუნდია. ისინი შანსს ხელიდან არ უშვებენ, რაშიც მით უფრო დავრწმუნდებით, თუ სატურნირო მდგომარეობას გადავავლებთ თვალს. ინგლისი ცხრა ქულით გვისწრებს, იტალია ექვსით. აწი, სულ სათადარიგო შემადგენლობებით რომ გააგრძელონ თამაში, ამ უპირატესობას აღარ დათმობენ. ბუნებრივია არც პოლონეთი გვავიწყდება. მათთან ორივე შეხვედრა წინ გვაქვს და კაცმა არ იცის, რა მოხდება.

და მაინც, შეჯიბრება გრძელდება, მასთან ერთად ცხოვრებაც, ამიტომ რაგინდ დათრგუნულნი ვიყოთ, გავმაგრდეთ, და სანამ ჩვენი ეროვნული გუნდის ახალი მწვრთნელის ვინაობას გავარკვევთ, მათ შევხედოთ, ვინც უკვე გაარკვია.

ჩეზარე მალდინის ოთხშაბათს პალერმოს „სტადიო ლა ფავორიტაზე“ დებიუტი ჰქონდა. წინა „სარბიელში“ გაცნობეთ, რომ ის შეხვედრა, იტალია — ჩრდილო ირლანდია, „სკუადრა აძურას“ გამარჯვებით დამთავრდა — 2:0. ახალი მწვრთნელი სიცილიელმა ტიფოზებმა ტაშითა და დიდებით გააცილეს მოედნიდან, თუმცა...

იტალიაში მწვრთნელს თანამდებობიდან წაგებისთვის არ ხსნიან. ხსნიან იმიტომ, რომ როგორც მოიგო, იმაზე უკეთ ვერ მოიგო. დაახლოებით ამისთვის გაანთავისუფლეს არიგო საკი და აი, ახამა თავკაცმაც მოიგო. მაგრამ უკეთ, ვიდრე საკი იგებდა?

მატჩის წინ, მალდინიმ გამოძახებულთა სია რომ გამოაქვეყნა, მთელმა ევროპამ შენიშნა, რომ იგი კვლავ საკის ბიჭებს დაყრდნობოდა. ისევ არ იყვნენ ბაჯო, ვიალი, სინიორი... საკის ბიჭებმა მოედანზეც საკის ფეხბურთი ითამაშეს, სიახლე არ ყოფილა. ამ სიტყვებში თამაშის სტილს ვგულისხმობთ, თორემ „ადგილობრივი“ ტაქტიკური ცვლილებები კი კიხილეთ. კერძოდ: თავისი ვაჟი, პაოლო მალდინი, მწვრთნელმა მარცხენა მცველის ადგილიდან სტოპერად გადაიყვანა, ხოლო დემეტრიო ალბერტინის, საყრდენი ნახევარმცველის დინო ბაჯოს უკან მიუჩინა ადგილი, რომელსაც გნებავთ ოდნავ წინ წაწეული მეორე სტოპერი უწოდეთ და გნებავთ დაცვამდე ჩაწეული უკანა საყრდენი ნახევარმცველი. სხვა ფუნქციები ასე იყო განაწილებული: ფერარა — ლიბერო, კოსტაკურტა მარჯვენა, ხოლო კარბონი მარცხენა მცველი. ნახევარდაცვაში მარჯვნივ დი მატეო. წინ კაზირაგი და ძოლა — კაზირაგი უშუალოდ კართან, ძოლა კი მის გარშემო, აქეთ-იქით.

რაც შეეხება გოლებს, საყოველთაოდ აღინიშნა, რომ ორივე ინდივიდუალური ოსტატობის შედეგი იყო და არა გუნდური მოქმედების.

— ეს შეხვედრები ისეთი ფეხბურთელებისთვისაა მოგონილი, ძოლა და დელ პიერო რომ არიან. მათ გოლის გასატანად მხოლოდ ჯარიმა სჭირდებათ — თქვა მატჩის შემდეგ მალდინიმ, თუმცა დაიწუწუნა კიდეც — დღეს, იტალიელ ნახევარმცველებს თუ გადავხედავთ, ვერ ვიპოვნით ისეთს, მეურვის ჩამოტოვება და შემდეგ მცველების გავლა რომ შეეძლოს.

ჩრდილო ირლანდიის ნაკრები ახალმა მწვრთნელმა იმიტომ ირჩია, რომ 12 თებერვალს ინგლისთან აქვს „უემბლიზე“ სათამაშო, ჩრდილოირლანდიელები კი იმ ყაიდით მოქმედებენ.

— მეტოქეთაგან ცოტა მეტს ველოდი. შირერი და ფერდინანდი მეტ პრობლემას შეგვიქმნიან — აღიარა მალდინიმ — იქნებ სჯობდა, სტუმრად გვეთამაშა, იქ მეტად შეგვიტევდნენ.

მართლაც, ბრიტანელებმა პალერმოში ორივე ტაიმი დაცვაში გაატარეს. საკმაოდ გამართულადაც დაიცვეს თავი და თან მალდინის გეგმა აურიეს. მას ხომ ინგლისში სტუმრად აქვს სათამაშო და იმ დღეს მომავალი შეხვედრის მოდელს ელოდა.

— ახალი დროების დასაწყისად მსოფლიოში უარესი მეტოქე ავირჩიეთ — თქვა მწვრთნელის ვაჟმა პაოლომ — ჩაიკეტნენ დაცვაში და კატენაჩო გვეთამაშნენ.

— აშკარაა, კიდევ გვაქვს გარკვეული პრობლემები — ეს ისევ მამა მალდინის სიტყვებია — მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე ვიდეოზე გვყავდა ნანახი და ვიცოდით, რომ მჭიდროდ გვეთამაშებოდნენ, სამოქმედო სივრცეთა პოვნა ძლიერ გაგვიჭირდა. და მაინც, ვთვლი, რომ ურიგო სტარტი არ გვქონია.

გაზეთები? მათ როგორღა შეაფასეს „სკუდრა აძურას“ ახალი ცხოვრების პირველი დღე?

— ის, რაც ლა ფავორიტაზე ვნახეთ, არაფერ შუაში უნდა იყოს იმასთან, რაც უემბლიზე იქნება. მოდი დავიტოვოთ იმედი, რომ ოც დღეში მალდინის გუნდი შეიცვლება. წინააღმდეგ შემთხვევაში სირთულეებია მოსალოდნელი“ — წერდა „გაძეტა დელლო სპორტი“.

„კორიერე დელლო სპორტმა“ კი სხარტად გამოხატა თავისი დამოკიდებულება: „მალდინის ერთი დიდებული თვისება აქვს, ის საკი არ არის“.

რაღაც ამგვარი თქვა ჯანფრანკო ძოლამაც: „მოდი, ნუ მოვიტყუებთ თავს. დღევანდელი შედეგისთვის არიგო საკის რომ მიეღწია, ალბათ სტვენას და ღრიალს მიიღებდა.“

**პაპუნა ქედია**

# იტალიელები პასუხს ელიან

რამდენიმე დღის წინ თბილისს იტალიური ფირმა FINEURO CONSULTING-ის წარმომადგენლები, სტუმრობნენ, რომლებმაც 8-თვიანი მუშაობის შემდეგ საქართველოში ჩამოიტანეს ჩვენი ეროვნული სტადიონის სოციალურ-კულტურულ და სავაჭრო ცენტრად გარდაქმნის პროექტი.

ინდუსტრიული კომპანია პოლიპროპილენისა და პოლიეთილენის მწარმოებელ მსოფლიოს 50 ფირმას აერთიანებს და საკუთრივ ევროპაში ამ პროდუქციის 50 % აწარმოებს.

ფირმის პრეზიდენტი ჯორჯო მიზერენდინო და პროექტის მთავარი არქიტექტორი ლუჩანო ფიორანელი ეროვნული სტადიონის დირექციას, საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ დირექტორატს, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასა და სახელმწიფო მინისტრ ნიკო ლეკიშვილს შეხვდნენ. რა შედეგი გამოიღო იტალიელთა ვიზიტმა? ამის თაობაზე გავესაუბრეთ სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო მრჩეველს სპორტის საკითხებში *ეჟეკი ინწკირველს*.

— სტადიონს მხოლოდ მას შემდეგ დაეტყობა სიკეთე, როცა გაირკვევა, ვინ არის მისი მეპატრონე. ეს იტალიელთა უმთავრესი მოთხოვნაა და ეს საკითხი სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრაზეც დასვეს. ბატონი ნიკო ლეკიშვილი დაჰპირდა მათ, რომ სტადიონის მფლობელის ვინაობას ორ კვირაში გაარკვევს. იტალიელებმა კი თავის მხრივ პირობა დადეს, რომ მეპატრონის გარკვევიდან ერთ თვეში, ესე იგი, დაახლოებით მარტისთვის რეკონსტრუქციას დაიწყებენ.

**— ვინ აცხადებს პრეტენზიას სტადიონის პატრონობაზე და როგორ წარმოგიდგენიათ მათი თანამშრომლობა?**

— უნდა შეიქმნას ღია სააქციონერო საზოგადოება. მასში შესვლის სურვილი აქვთ თვით სტადიონის დირექციას, საფეხბურთო კლუბ „დინამოს“, სპორტკლუბ „დინამოს“, რომელიც სპორტსაზოგადოება „დინამოს“ მემკვიდრეა, თბილისის მერიას და ფეხბურთის ფედერაციას. ჩვენ შევთავაზეთ მათ თავიანთი ვარიანტების წარმოდგენა და თბილისის „დინამოსგან“ უკვე ორშაბათისთვის ველით საკუთარ პროექტს.

**— ჩვენებურთა ინტერესი გასაგებია, მაგრამ იტალიელები რა სარგებელს ელიან თავიანთი პროექტის განხორციელებისგან?**

— იცით, უეფას ულტიმატუმი — 1998 წლისთვის საერთაშორისო მატჩების გასამართ ყველა სარბიელზე ინდივიდუალური სკამები უნდა დამონტაჟდეს. ამ მიზნით იტალიელებს განზრახული აქვთ პოლიპროპილენის ხაწარმოს თბილისში ამოქმედება. ეს თავისთავად ხარჯებს შეამცირებს, სამომავლოდ კი ჩვენს მეზობელ ქვეყნებსაც დასჭირდებათ. ამ საქმისგან მეტ სარგებელს მაინც ქართული მხარე ნახავს, რადგან შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები და საუკუნის ბოლომდე დაგეგმილი მილიარდამდე „ბორჯომის“ ბოთლის ჩამოსხმაში დიდად დაეხმარება, რადგან ყუთების ჩამოტანა აქამდე უცხოეთიდან იყო დაგეგმილი და თვითღირებულებას საბაჟო გადასახადი ზრდიდა, ახლა კი ამით საქართველო იხეირებს.

**— თქვენი აზრით, რამდენად პრობლემატური იქნება მეპატრონეთა ზუსტი ნუსხის დადგენა?**

— ამ საკითხზე სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ზაზა შენგელიასთან უკვე მიმდინარეობს მუშა შეხვედრები. ვფიქრობ, კონსენსუსი მალე მიიღწევა, რათა არ შეფერხდეს რეკონსტრუქციის დაწყება. შესაძლოა, მეპატრონეთა რიცხვს მუშტაიდის ბაღის დირექციაც შეემატოს, რადგან იდეაშია სტადიონის კომპლექსისთვის მუშტაიდის შემატება.

**ვახტანგ ბზიკაძე**



ასეთი იქნება VIP-თა ლოჟა



1998 წლისთვის საერთაშორისო თამაშების ყველა სარბიელზე ინდივიდუალური სკამები უნდა იდგას




სტადიონის კომპლექსის გეგმა

# „ქაჩის“ და... პარლამენტის პირველი წარმატება

„ბენდელას თასის“ ტრადიციული ტურნირის ბოლო ორი დღე ნახევარფინალურ და ფინალურ შეხვედრებს დაეთმო. შუალედში კი ოთხთა ტურნირი გაიმართა პოლიციის, პარლამენტართა, მწვრთნელთა და სპორტულ ჟურნალისტთა გუნდების მონაწილეობით. სათქმელს წინასწარ ვიტყვი: თქვენმა მონა-მორჩილებმა ბოლო ადგილი დავიკავეთ, თუმცა ცოტა იღბალი რომ გვქონოდა, იქნებ გვემარჯვა კიდეც. იმდენი საგოლე მომენტი გაგვიცუდდა, კინაღამ საგულე წამლები დაგვჭირდა, ჩვენს კარში კი რაც დაარტყეს, თითქმის ყველა გავიდა. ისე, ჩვენი მეკარის, მამუკა კვანტალიანის თავგანწირული თამაში რომ არა, უარესადაც დავმარცხდებოდით ორივე შეხვედრაში. ამაზე იმად მოგითხრობთ, რომ მავანთ არ ეგონოთ, ესენი მარტო სხვის კრიტიკაში არიან მაგრებიო. მაგრამ არა უშავს, ცოტას წავივარჯიშებთ, ჩვეულ ფორმაში შევალთ და მერე ვნახოთ. ოთხთა ტურნირის გამარჯვებულნი კი პარლამენტარები გახდნენ. ფინალური შეხვედრა „გაპარლამენტარებული“ გოჩა ჩიქოვანისა და მანუჩარ მაჩაიძის ბენეფისად იქცა. პირველმა ჰეთ-თრიქი შეასრულა, მეორემ კი პირდაპირ გააწამა პოლიციელები, რომლებმაც ვერა და ვერ „დაიჭირეს“ მაჩაიძე და მხოლოდ ერთხელ იხეირეს, ისიც მატჩის მიწურულს: ილია რუხაძისა და გელა კეტაშვილის ლამაზი კომბინაცია შედეგიანად დაასრულა ვოვა ახობაძემ.

ცოტა გაგვიგრძელდა და მთავარზე არაფერი გვითქვამს. ნახევარფინალში ძირითადად თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა „ქაჩიმ“ პოლიციელთა აკადემია დაამარცხა, ბენდელას მეგობრების გუნდმა კი „დინამო 2“. ფინალური მატჩის ტაიმნახევარი ისეთი გამოდგა, ნებისმიერი რანგის ტურნირს დაამშვენებდა. ანგარიში ქაჩელებმა გახსნეს, ულამაზესი დარტყმით გოლი საქართველოში ერთადერთმა პროფესიონალმა მინიფეხბურთელმა, ამჟამად რუსეთის მინი-ფეხბურთის ლიგაში მოთამაშე ალიკ სარქისიანმა გაიტანა. ამის შემდეგ „ბენდელამ“ ნამდვილი შტურმი წამოიწყო, მაგრამ იღბალმა აშკარად უმტყუნა — თითქმის ცარიელ კარში ხან ძელს მოხვდებოდა ბურთი, ხანაც სასწაულად სცდებოდა, უმრავლეს შემთხვევაში კი კახა სიდამონიძე იყო მოწოდების სიმაღლეზე. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ანდრო მიზანდარმა მეორედ არ აიღო „მასპინძელთა“ კარი. ამის მერე თამაშმა ფორმალური ხასიათი მიიღო, მართალია, „ბენდელა“ კვლავ დიდი ძალებით უტევდა, მაგრამ ეს უფრო ემოციური შეტევები იყო. საბოლოოდ, „ქაჩიმ“ 3:0 გაიმარჯვა, მესამე ბურთი ტურნირის საუკეთესო გამთამაშებელმა გელა ქორიძემ გაიტანა. მესამე ადგილი პოლიციის აკადემიის გუნდმა უბრძოლველად დაიკავა. მათი მეტოქე „დინამო 2“ სათამაშოდ არ გამოცხადდა. მთავარი პრიზის გარდა სხვა, ინდივიდუალური პრიზებიც იყო დაწესებული, რომელთა ლაურეატები გახდნენ: საუკეთესო მეკარე — ზვიად კუპატაძე („დინამო“) და კახა სიდამონიძე („ქაჩი“), მცველი — დავით კევლიშვილი („ბენდელა“), გამთამაშებელი — გელა ქორიძე, ყველაზე ტექნიკური — ანდრო მიზანდარი („ქაჩი“), თავდამსხმელი — ვასილ მაისურაძე („ბენდელა“), ბომბარდირისა და „უხუცესისთვის“ დაწესებული პრიზები აკა ქავთარაძეს გადაეცა („ბენდელა“), ლამაზი გოლის ავტორი — მიხეილ მაზიაშვილი („ხილიანი“), ტურნირის აღმოჩენა — ალეკო გოგიბერიშვილი („ბენდელა“). ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ასევე „ბენდელას“ მოთამაშე მამუკა ფანცულაია აღიარეს.

**კობა ინასარიძე**

# ბათუმიდან მახარაძეები მიდიან

საახალწლო „სარბიელის“ წლის ფრაზებში ყველაზე გულახდილი იყო წლების მანძილზე ბათუმელთა კაპიტნის მალხაზ მახარაძის სიტყვები: „საქმე ისაა, რომ მიწვევები არ მქონია, თორემ წასვლა როგორ არ მინდოდა. უპირველესად იმის გამო, რომ საქართველოში მოთამაშეს ნორმალური მატერიალური პირობები არა აქვს, წასვლის სურვილიც ამიტომ მქონდა, მაგრამ მხარში არავინ ამომიდგა, ეტყობა, ჩემი არ სჯეროდათ“. მახარაძე წლევანდელი ჩემპიონატის დასრულების მერე მოსკოვში წასვლას და მწვრთნელთა სკოლაში სწავლას აპირებდა, თუმცა კარიერის დასასრულს მაინც მოუხდა უცხოეთს წასვლა და ადრინდელ ჩანაფიქრზე დროებით ხელის აღება.

## მალხაზი — ნიჟნეკამსკში...



მალხაზ მახარაძე ნიჟნეკამსკის „ნეფტეხიმიკს“ ესპანეთში შეკრებაზე გაჰყვა, თუმცა ამ გუნდში დარჩენა ჯერ საბოლოოდ მაინც არ გადაუწყვეტია. საბოლოო პასუხს ნიჟნეკამსკელებს იანვრის ბოლოს ეტყვის. „ნეფტეხიმიკში“ უკვე ერთი წელია თამაშობს მალხაზის ყოფილი თანაგუნდელი თამაზ კიკლიაშვილი.



## ... დათო კი — ფოთში

მალხაზ მახარაძის მოგვარე დათო კი მშობლიური ქალაქის, ფოთის გუნდ „კოლხეთს“ დაუბრუნდა. ამას უცხოეთში უკვე უთამაშია და კარიერის დასრულებას მშობლიურ კუთხეში აპირებს. დათო მახარაძის „კოლხეთში“ დაბრუნების მიზეზი ცხადია — ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება ახალი მწვრთნელის ხელშიც გაუჭირდა, „ბათუმში“ პირველი წრე სათადარიგოთა სკამზე გაატარა და ამასთან შეგუებას არ აპირებდა, რაც ჯერ კიდევ პირველი წრის დასრულებამდე თქვა. დათოს ხელი მენისკმაც შეუშალა.

ამ დროს კი ფოთელებს თავდასხმაში პრობლემები ჰქონდათ, იცოდნენ დათოს სურვილი და გადასვლაც შესთავაზეს. ამჟამად იგი „კოლხეთთან“ ერთად ემზადება.

# ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი №



## დავით ყიფიანი

### „დინამოს“ მწვრთნელი

დაიბადა: 1951 წლის 18 ნოემბერი

### სამწვრთნელო კარიერა

კლუბში: თბილისის „დინამო“ — 1984 წელი, 1988-91 და 1995-დან დღემდე, თბილისის ფ.შ.მ. — 1988, „ოლიმპიაკოსი“ (კვიპროსი) — 1992-94

### მონაგარი

„დინამო“

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ% |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 110 | 86 | 18 | 6 | 356-73 | 83,64 |
| შინ | 57 | 50 | 5 | 2 | 228-32 | 90,64 |
| გარეთ | 48 | 32 | 12 | 4 | 114-40 | 75,00 |
| ნეიტ. მინდ. | 3 | 2 | 1 | 0 | 8-1 | 77,77 |
| მოგება ჩაეთ. | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 100 |

### საუკეთესო შედეგი

ეროვნულ ჩემპიონატში: I ადგილი (1990, 1991, 1994-95, 1995-96)

ეროვნულ თასზე: ორგზის მფლობელი (1995, 1996)

### ევროტურნირები

| | თ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|
| სულ | 10 | 4 | 3 | 3 | 11-11 |
| შინ | 5 | 3 | 1 | 1 | 8-3 |
| გარეთ | 5 | 1 | 2 | 2 | 3-8 |

„ოლიმპიაკოსი“

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ% |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 42 | 13 | 11 | 18 | 50-81 | 39,68 |
| შინ | 21 | 12 | 4 | 5 | 32-24 | 63,49 |
| გარეთ | 21 | 1 | 7 | 13 | 18-57 | 15,87 |

### საუკეთესო შედეგი

ეროვნულ ჩემპიონატში: XI ადგილი (1993-94)

ეროვნულ თასზე: ნახევარფინალში წააგო ლიმასოლის „აპოლონთან“ 1:3, 1:2

ვიდრე საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოფიციალურად დაინიშნებოდეს, ათასი ჭორ-მართლის მოსმენა გვიწევს იმის თაობაზე, თუ ვინ იქნება ეროვნული გუნდის თავკაცი. ამ თანამდებობისთვის ბრძოლაში აშკარა ფავორიტი არ არსებობს. ფედერაციამ ბევრ ვინმეს შესთავაზა ამ პოსტის დაკავება, ნაკლებ გამოცდილებიდან დაწყებული (გენსეკის ხუმრობით), მწვრთნელობაში ჭიპმოჭრილებით დამთავრებული. და მაინც, დაახლოებითაც კი ვერავინ იტყვის, ვინ ჩაუდგება ნაკრებს სათავეში, რადგან ერთ-ერთმა ყველაზე რეალურმა კანდიდატმა უარი განაცხადა, მეორემ კლუბში სამუშაოს შენარჩუნება მოითხოვა, მესამეთ კი სფფ უფრო ყასიდად ეპატიჟება, ვიდრე ჭეშმარიტად. როგორც ჩანს, ფედერაცია ყველა კანდიდატს ესაუბრა, იგებს მათგან, რა გასამრჯელოს დასთანხმდებიან და დაყაბულდებიან თუ არა საერთოდ იმ ნაკრების მწვრთნელობას, რომელსაც საფრანგეთში წასვლის მხოლოდ თეორიული შანსი აქ-კს. ამ შანსის გამოყენება კი, მოგეხსენებათ, არა საფეხბურთო, არამედ საკალათბურთო მწვრთნელების ხელშია, რადგან ფედერაციის პოზიციით, ჩვენი ნაკრები მანამდე ვერ მოუგებს ინგლის-იტალიასა და ამათნაირებს, სანამ მოსეშვილი ან ლიპარტელიანი თავისი ბიჭებით ნბა-ს კალათბურთელებს არ დაამარცხებენ.

სერიოზულად თუ ვიტყვით, ნაკრების მწვრთნელი დროულად უნდა დაინიშნოს, „უემბლიზე“ გასვლის წინ ამხანაგური მატჩისა და წინასამატჩო შეკრების მოწყობა-გამოყენება რომ მოასწროს.

დანიშვნისა რა მოგახსენოთ, ვიდრე ერთ-ერთს არ შეიპირებს ფედერაცია, აღმასკომის სხდომასაც ვერ დანიშნავს. ისღა დაგვრჩენია, მოვლენათა განვითარებას ველოდოთ, რადგან ამ თემაზე დაუფარავად საუბარს თავად ფედერაციაც თავს არიდებს და ყველა კანდიდატიც. მანამდე კი იმ ორი კანდიდატის ნაღვაწი გავიხსენოთ, ვისი გვარებიც ამ კვირაში ყველაზე პოპულარული იყო.



## შოთა ჩეიშვილი

### „ბათუმის“ მწვრთნელი

დაიბადა: 1948 წლის 23 აგვისტო

სამწვრთნელო განათლება: 1981-83 მოსკოვის უმაღლესი მწვრთნელთა სკოლა

### სამწვრთნელო კარიერა

კლუბში: 1976 წლიდან „ჩიხურა“, „სიონი“; „დინამოს“ ერთ-ერთი მწვრთნელი — 1983-85, 1987-88, „მეტალურგი“ — 1986, „ბათუმი“ — 1987-93, „აკადემია“ — 1996, „ბათუმი“ — 1996-დან დღემდე.

ნაკრებში: საქართველოს სსრ ახალგაზრდული ნაკრები — 1984 წელი (III ადგილი „პერეპრავას“ თასზე) და 1985 წელი (მეორე ადგილი პირველ საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე), საქართველოს ახალგაზრდული (21 წლამდე) ნაკრები — 1993-95

### მონაგარი

„ბათუმი“

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ% |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 152 | 72 | 26 | 54 | 286-197 | 53,07 |
| შინ | 77 | 54 | 14 | 9 | 183-59 | 76,19 |
| გარეთ | 65 | 12 | 11 | 42 | 64-122 | 24,1 |
| ნეიტ. მინდ. | 8 | 5 | 1 | 2 | 16-10 | 66,66 |
| გამოუცხ. | 2 | 1 | | 1 | 3-3 | 50 |

### ევროტურნირები

| | თ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|
| სულ | 4 | 2 | 1 | 1 | 10-4 |
| შინ | 2 | 1 | 1 | 0 | 7-1 |
| გარეთ | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 |

### ახალგაზრდული ნაკრები

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ% |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 12 | 2 | 2 | 8 | 14-22 | 22,22 |
| შინ | 4 | 1 | 0 | 3 | 5-6 | 25 |
| გარეთ | 8 | 1 | 2 | 5 | 9-16 | 20,83 |

### საუკეთესო შედეგი

ეროვნულ ჩემპიონატში: V ადგილი

საქართველოს თასზე: ფინალში, წააგო 2:4 „დინამოსთან“

გოგი აბულაძის



## უემბლი ახლოვდება

ეს ორი თვე გაიფრენს და უემბლიზე თამაშის დროც მოვა.

ახლა იმის ლაპარაკს — აქ რა ვქენით, იქ რის იმედი უნდა გვქონდესო — აზრი არა აქვს. ნაკრებისთვის ხომ ყველა თამაში უკანასკნელი უნდა იყოს.

და ალბათ, ასეც იქნება.

მდგომარეობის ინტრიგა იმაშია, რომ ჯერჯერობით ნაკრებს მწვრთნელი არა ჰყავს და არც არავინ იცის, ვინ გახდება ქვეყნის ეროვნული გუნდის მესაჭე.

ამბობენ, გუნდის მწვრთნელი აუცილებლად ქართველი სპეციალისტი გახდებაო. ამასთან, ჯერჯერობით ისეა საქმე, რომ ეს ქართველი სპეციალისტი არ ჩანს. ვისაც შესთავაზეს, ფაქტიური უარი თქვა, ვისაც არ შესთავაზეს, მგონი ისინიც უარობენ რევაზ ძოძუაშვილის გარდა.

ხმები დაიარება ამ ქალაქში, ძოძუაშვილს არ დანიშნავენ, რადგან მეტად თავისებური და დამოუკიდებული ვინმეა, თავის საქმეში არცერთ ფეხბურთის მამას არ გარევს და ამით ნაკრების დამოუკიდებელი მესაჭე შეიქნება, რაც ფედერაციისთვის ცოტა არ იყოს, ძნელი მისაღები იქნებაო.

არ ვიცი, რამდენად მართალია ეს ამბავი. ის კი ვიცი, რომ ნაკრებს მკაცრი და ავტორიტეტიანი კაცი სჭირდება. შეიძლება მწვრთნელი კვალიფიციური და გამოცდილი ვიღაც იყოს, მაგრამ საქართველოს ნაკრებს მხოლოდ კვალიფიციური კაცი რომ ვერაფერს არგებს, ცხადია.

ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომელიმე ნაწილიდან ვიცე-პოლკოვნიკი მოვიყვანოთ და ბიჭებს მარშირება ასწავლოს და მომატებული წონისთვის ჰაუპტვახტის კარი გაუღოს-მეთქი.

იმის თქმა მინდა, რომ პროფესიულად წოდებულ ჩვენს ფეხბურთში ნამდვილი პროფესიონალიზმი არ არსებობს. რამდენიმე პროფესიონალი და პროფესიონალობას მოწყურებული კაცი ამინდს არ ქმნის. რა ამინდზეა ფიქრი, როცა უქონელი გუნდები „ტოტენჰემის“, ბრაზილიის ნაკრების და სხვათა მაისურებს ყიდულობენ ბაზრობაზე და ასე უცხოურად მორთული გადიან მოედანზე.

რა ვქნა, ასე მჯერა, რომ ჩვენი ფეხბურთის სახე ნაკრებია. ჯერჯერობით მაინც. ბოლო წლებში გულშემატკივრების ყველაზე დიდი და პრეტენზიული იმედები სწორედ ნაკრებთან იყო დაკავშირებლი.

ამიტომ პროფესიული სულის შთანერგვა სწორედ ნაკრებიდან უნდა დაიწყოს.

ახლა იტყვიან, ჯერ შიდა ჩემპიონატი უნდა ამოვქაჩოთო.

არის ქვეყნები, სადაც კლუბების აღმოსვლა ნაკრების წამხედურობით მოხდა. თქვათ — დანია. პიონტეკის დიდ გუნდში ერთადერთი კაცი, მეკარე ოლე კვისტი თამაშობდა დანიაში. მართალია, პიონტეკს ათი ვარსკვლავი მაინც ჰყავდა ხელქვეით, მაგრამ აქ საქმე პრინციპშია და არა ქართველი ვარსკვლავების რაოდენობაში.

მქონია ასეთი ბედნიერებაც, რომელსაც უბედურება უფრო დაერქმევა. მიყურებია მექსიკის ჩემპიონატის რამდენიმე გადამწყვეტი მატჩი „იესპიენის“ არხით. მექსიკის შიდა ჩემპიონატი ჯობს ჩვენსას მინდვრების, ბურთების და ფორმების ხარისხით და სულ ოდნავ სერიოზულობით და ტაქტიკური განათლებით. სულ ოდნავ — დიდი არაფერი. იმდენად სჯობია, რამდენადაც შეუფერხებლად მიეწოდება ელექტროენერგია.

ნახეთ, როგორ თამაშობდა ბორა მილუტინოვიჩის მექსიკის ნაკრები ახლახანს მიმდინარე ამერიკის ტურნირზე. რა თქმა უნდა, არ ვამბობ, რომ მექსიკელები ვარსკვლავებს წყვეტდნენ ციდან, მაგრამ ისინი ლაღად, თავისუფლად, ტემპიან-ჯიგრიანად თამაშობდნენ და იგებდნენ. გასაგებია, რომ ბორა ბორაა და ჩვენში გამორჩეული პოპულარობით სარგებლობს, რადგან სწორედ ისეთ ქვეყნებს ასწავლის საჭირო დონეზე თამაშს, როგორიც ჩვენ გახლავართ. მაგრამ ბორა ის კაცია, ორიოდე თვის წინ ნაკრებს რომ ატოვებინებდნენ ცუდი შედეგების გამო. ის არ გახლავთ იდეალური მწვრთნელი. უბრალოდ, სწორედ ისეთი მწვრთნელია, არასერიოზულ ფეხბურთს სერიოზულად რომ აქცევს ხოლმე.

აი, ეს გვჭირდება. მაგრამ ბორა შორსაა, ზღაპარზე უფრო შორს.

აქა-იქ ჭორსაც მოვკარი ყური, ეგებ ფომენკო ჩამოიყვანონ უკრაინიდანო. ან კიდევ ვინმე რუსიო. თუ ჩამოყვანაა, რაღა რუსი? ბარემ უცხოელი ჩამოვიყვანოთ. ისეთი, რომელსაც შეეძლება სანაკრებო ფეხბური დიად პროფესიად აქციოს. თუმცა, მე ვინ მეკითხება? ან — თქვენ?

უემბლი ახლოვდება — მოახლოვდება, მოახლოვდება და ვნახოთ.

ჩვენ კი ნაკრები გვინდა.

ზორან ფილიპოვიჩზეც არავინ იტყოდა უარს, მაგრამ... ფულიო, ფინანსებიო, საერთაშორისოს საერთაშორისო დონის უნდა ხელფასიც, სახლიც და აბაზანაცო.

ფეხბურთი თუ საერთაშორისო გვწყურია, მაშინ...

სვენ გორან-ერიქსონს უთქვამს — ტაქტიკა სისულელეა, მთავარია ჟინი, მოგების წყურვილი და... რაღა დაგიმალოთ, პროფესიონალიზმიო.

ერიქსონი კი, მოგეხსენებათ, გუშინდელი ბიჭი არ გახლავთ.

## სად ითამაშებენ ყოფილი დინამოელები?

კახა გოგიჩაიშვილი, ნუგზარ ლობჟანიძე და გიორგი ანჩაბაძე ესენგეს ჩემპიონთა თასზე სათამაშოდ მოსკოვს წასულ „დინამოს“ არ გაყვნენ, რადგან უცხოეთში სურთ კარიერის გაგრძელება. მაგრამ ვინ სად აპირებს, ეს ჯერ გაურკვეველია. „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ გვაცნობა: „გოგიჩაიშვილს, სანამ დაშავდებოდა, კვიპროსის ერთ-ერთი გუნდიდან ჰქონდა მიწვევა, თუმცა შემდეგ ეს მოლაპარაკება შეწყდა, მოსკოვის „ტორპედოს“ ვარიანტი კი თავად კახამ უარყო. მისთვის სჯობს, სეზონი ისევ „დინამოში“ ითამაშოს და ფორმა აღიდგინოს, თორემ ახალმომჯობინებულს ჯერ არავინ მიიწვევს. რაც შეეხება ანჩაბაძეს, ამჟამად მერაბ ჟორდანია მისთვისაც ეძებს გუნდს და შესაძლებელია, ანჩაბაძე ნორვეგიის ან ავსტრიის უმაღლესი დივიზიონის რომელიმე გუნდში გადავიდეს. ლობჟანიძის მომავალიც ჯერ გაურკვეველია.“

შესაძლოა, ლობჟანიძე კვიპროსზეც წავიდეს.

## გოდერძიშვილი და ქველაძე კვლავ ერთად ითამაშებენ

ლანჩხუთის „გურიას“ თავდამსხმელი დავით გოდერძიშვილი და რუსთავის „გორდას“ მცველი გივი ქველაძე ამჟამად თბილისის „მერანში“ ვარჯიშობენ და, როგორც კლუბის პრეზიდენტმა ნუგზარ ნავაძემ გვაცნობა, უკვე კონტრაქტებიც გაუფორმებიათ. გოდერძიშვილი „მერანში“ წლის ბოლომდე დარჩება, ქველაძე კი უფრო დიდხანს.

გოდერძიშვილი მანამდე ბოლნისის „სიონთან“ აწარმოებდა მოლაპარაკებას, თუმცა ბოლოს ისევ თბილისში თამაში ამჯობინა, მიუხედავად ბოლნისელთა შეპირებებისა. „გორდადან“ წამოსული ქველაძე კი კარგა ხანს უგუნდოდ იყო. სხვათა შორის, 1995-96 წლების ჩემპიონატის პირველი წრე ამ მოთამაშეებმა თბილისის „შევარდენში“ გაატარეს, მაგრამ ამ გუნდიდან ფინანსური პრობლემების გამო წავიდნენ. ამჯერად მათ კვლავაც ერთად მოუწევთ თამაში.

## „გორდა“ და ჯიმი ორ დღეში დაიწყებენ

რუსთავის „გორდას“ მთავარ მწვრთნელად გიგლა იმნაძე დაინიშნა, ასე რომ, ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრიდან რუსთაველთა ყოფილ მწვრთნელ იასონ ალადაშვილს იმნაძე შეცვლის. რუსთაველებს ჩემპიონატისთვის მზადება ჯერ არ დაუწყიათ, გუნდის შეკრება 27 იანვრისთვისაა დაგეგმილი და როგორც მეტალურგთა ერთ-ერთმა ხელმძღვანელთაგანმა გვითხრა, ეს სეზონი ახალგაზრდა ფეხბურთელთათვის და ახალწვეული მწვრთნელისთვის, ასე ვქთვათ, საადაპტაციო იქნება, მომავლიდან კი სერიოზულად იფიქრებენ ერთ-ერთი ევროტურნირის საგზურის მოპოვებაზე.

თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, რუსთავის სტადიონსაც იგივე იტალიელი საქმოსნები კეთილმოაწყობენ, ჩვენს ეროვნულს რომ უპირებენ სახეცვლილებას. რუსთავის სტადიონიც ხომ ისეთსავე სავალალო დღეშია, როგორშიც ჩვენი სპორტული სარბიელების უმეტესობა.

## ფეხბურთის რუკასთან



ინგლისელი სტიუარტ პირსი სეზონის ბოლომდე უხელმძღვანელებს „ნოტინგემს". იგი თან ითამაშებს კიდეც. „სტიუარტი მოთამაშე-მწვრთნელის თანამდებობაზე ჩემპიონატის ბოლომდე დარჩება. შემდეგ მის მომავალზე ვისაუბრებთ. შესაძლოა, მომავალ სეზონშიც „ნოტინგემს" მან უხელმძღვანელოს" — განაცხადა კლუბის თავმჯდომარემ ირვინგ კორნმა. პირსის ხელმძღვანელობით კლუბმა ბოლო შვიდ შეხვედრაში ხუთჯერ იმარჯვა და ერთხელაც ფრეს მიაღწია.



სტიუარტ პირსი

**ბრაზილიაში სან პაულუს თასის მატჩში „ფლამენგომ" 3:0 დაამარცხა „კორინთიანსი". გამარჯვებულთაგან ორი გოლი გაიტანა რომარიომ, მესამე პენალტით — სავიომ. „კორინთიანსის" შემადგენლობაში პირველად ითამაშა ბრაზილიის 1994 და 1995 წლების საუკეთესო ბომბარდირმა ტულიომ.**

ავსტრალიაში მიმდინარე ოთხთა საერთაშორისო ტურნირზე მეორე ტური გაიმართა. მასპინძლებმა ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის ტერი ვენებლზის ხელმძღვანელობით ამჯერადაც იმარჯვეს — სამხრეთ კორეას 2:1 მოუგეს. მასპინძელთაგან გოლები გაიტანეს ბინგლიმ (37) და ედვარდსმა (72), აზიელთაგან — ჰა სუკ ჯუმ (76). ნორვეგიამ 3:0 გაანადგურა ახალი ზელანდია. სკანდინაველთაგან გოლები სკამერლსრუდისა (60), და ფლოს (84) ანგარიშზეა, ერთი ბურთიც 79-ე წუთზე ზორიჩიჩმა საკუთარ კარში შეაგდო.

**დანიელი მორტენ ოლსენი, ქვეყნის რეკორდსმენი ნაკრებში ჩატარებული მატჩების ოდენობით (102), „აიაქსის" მწვრთნელობის ყველაზე რეალური კანდიდატია. ლუის ვან გაალმა ადრე განაცხადა, რომ მიუხედავად შედეგებისა, იგი „აიაქსს" ზაფხულში დატოვებს. ოლსენი ადრე „ბრონდბიუს" წვრთნიდა, 1993-1995 წლებში კი გერმანულ „კიოლნს" ხელმძღვანელობდა. სეზონის დასაწყისში როტერდამის „ფეიენოორდმა" მას უკვე მიმართა თხოვნით, გუნდის მწვრთნელი გამხდარიყო.**

გერმანელმა თომას ჰელმერმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ კლინსმანის და მათეუსის უთანხმოება ყოველგვარ ფარგლებს სცილდება და მათი კონფლიქტი გუნდს ზიანს აყენებს: „მათ გამო კლუბში დაძაბული ატმოსფეროა. ყველა ერიდება ამ თემაზე საუბარს." ეს კონფლიქტი მოჰყვა მათეუსის სიტყვებს, ფოგტსმა ევროპის ჩემპიონატზე ნაკრებიდან კლინსმანის რჩევით დამითხოვაო. მერე ლოთარმა ისიც განაცხადა, კლინსმანმა აუცილებლად უნდა დატოვოს კლუბი, რადგან აშკარად ზედმეტიაო.

**ბულგარეთის ნაკრები, 4 აპრილს კვიპროსელებთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩამდე, ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს: 26 თებერვალს სტამბოლში „ფენერბაჰჩეს" ეთამაშება, კლუბს, რომელშიც ემილ კოსტადინოვი გამოდის, 11 მარტს კი სოფიაში სლოვაკეთს უმასპინძლებს.**

ბელგიის ნაკრებისა და „ანდერლეხტის" ფორვარდ ჟილ დე ბილდეს ფეხბურთის ფედერაციამ 31 მარტამდე აუკრძალა თამაში. 21 დეკემბერს ჩემპიონატის მატჩში, რომელიც „ანდერლეხტმა" 3:0 მოიგო, დე ბილდემ მეტოქეს, კრისტ პორტეს სახეში ჩაარტყა. პორტე ერთ თვეს საავადმყოფოში მკურნალობდა. ფედერაციამ ამ შეხვედრის შედეგი გააუქმა და განმეორებითი დანიშნა. ამასობაში პსვ-მ დე ბილდეს შესყიდვის სურვილი გამოთქვა, თუმცა ფიფამ ჰოლანდიელებს აცნობა, რომ ტრანსფერი არ განხორციელდება მანამდე, სანამ მოთამაშე დისკვალიფიცირებულია.

**განელი ტონი იებოა ვერ ითამაშებს „ლიდსის" შემადგენლობაში გამწვავებული ტრავმის გამო. ფორვარდი კლუბის ექიმებს გაესინჯა და აღმოჩნდა, რომ მას ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. იებოამ ამას წინათ ნაკრებში ითამაშა მაროკოს წინააღმდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, თუმცა, ტრავმა ბოლომდე არ მოშუშებოდა.**

ესპანეთში, მადრიდის „რეალში" მოთამაშე არგენტინელმა ფერნანდო რედონდომ განაცხადა, რომ არ ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მა-



ფერნანდო რედონდო

ტჩში კოლუმბიასთან: „ეს ღირსების საქმეა. პასარელამ, როცა გაუჭირდა, მაშინ დამიძახა. ჩვენ არც ისე კარგი ურთიერთობა გვაქვს. ნაკრებში თამაში უნდა გიხაროდეს, მე კი ამას ვერ ვგრძნობ." მას შემდეგ, რაც პასარელა ნაკრებს ხელმძღვანელობს, რედონდოს არგენტინელთა პირველ გუნდში არ უთამაშია. მიზეზი? გრძელი თმები, რომელიც პასარელას ძალიან ეჯავრება.

**შოტლანდიის ბოლო წლების უცვლელ ჩემპიონის „გლაზგო რეინჯერსის" აქციების 25 პროცენტი შეისყიდა მავანმა ბაჰამელმა ჯო ლუისმა. მან აქციებში 65 მილიონი დოლარი გადაიხადა. ლუისის ეს ინვესტიცია მთელს ბრიტანეთში სარეკორდოა. ფული მოხმარდება სტადიონის და მინდვრის საფარის გაუმჯობესებას. „რეინჯერსმა" ზედიზედ რვაჯერ იმარჯვა სქოთთა ჩემპიონატში და წელსაც ისეთი სხვაობით ლიდერობს, რომ პირველობა არ უნდა გაუჭირდეს. ზედიზედ ცხრაჯერ ეს მხოლოდ გლაზგოსვე „სელტიკმა" შეძლო სამოციან წლებში.**

ჩეხეთის ნაკრების მცველი იან სუხოპარეკი, რომელიც ახლა „სტრასბურში" გამოდის, დაახლოებით ექვსი კვირა ვერ ითამაშებს. ერთ-ერთ ბოლო შეხვედრაში იგი ისე დაშავდა, რომ საოპერაციო შეიქნა. მის არყოფნაში ჟან ლუკ დოგონი და ვალერიან ისმაელი შეეწყვილებიან ერთმანეთს „სტრასბურის" დაცვაში.

**აშშ-ის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში მექსიკას „ფოქსბოროს" სტადიონზე უმასპინძლებს. ამერიკელები ჯერ არ დამარცხებულან „ფოქსბოროზე". ეს მატჩი 20 აპრილს გაიმართება და გამარჯვების შემთხვევაში ამერიკელებს რეალური შანსი ექნებათ მეხუთედ ითამაშონ მსოფლიოს ჩემპიონატზე.**

ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის" მწვრთნელი ალან ბაკლი უხეირო შედეგების გამო გაანთავისუფლეს. ბაკლი უკვე თავის ყოფილ კლუბს მე-17 ადგილზე მყოფს ტოვებს. იგი „ვესტ ბრომვიჩში" 1993 წელს მივიდა, მანამდე კი ექვსი წელი „გრიმსბის" წვრთნიდა. „ალანი მუხლჩაუხრელად მუშაობდა. კლუბის ყველა წევრი მას სამომავლოდ სიკეთეს უსურვებს" — განაცხადა კლუბის თავმჯდომარემ ტონი ჰეილიმ. მწვრთნელის არყოფნაში კლუბს უხელმძღვანელებს ბაკლის თანაშემწე არტურ მანი.

**პორტუგალიის დედაქალაქში 29 იანვარს ევროპის ნაკრები აფრიკის რჩეულთა გუნდს შეხვდება. აფრიკელთა შემადგენლობა ადრე გაცნობეთ, ევროპელებზე კი ახლახან ის გახდა ცნობილი, რომ მათ გუნდში ვერ ითამაშებენ „იუვენტუსის" ფეხბურთელები, ისევე, როგორც „მილანის" პაოლო მალდინი, მარსელ დესაი და „ლივერპულის" სტივ მაკმანამანი. ასე რომ, ევროპელების მწვრთნელს ბერტი ფოგტს შემცვლელთა მოძებნა მოუწევს.**

შოტლანდიაში ტურნეზე მყოფმა მიუნხენის „ბაიერნმა" მეორე შეხვედრაში 2:1 დაამარცხა გლაზგოს „სელტიკი". პირველი შეხვედრა „ბაიერნმა" „რეით როვერსთან" 0:1 წააგო და „სელტიკის" დამარცხებით შელახული პრესტიჟი გარკვეულწილად აღიდგინა. იურგენ კლინსმანმა 27-ე და 66-ე წუთებზე ორი გოლი გაიტანა, ერთი საპასუხო კი მაკეიმ შეაგდო. შეხვედრას 40 ათასი მაყურებელი ესწრებოდა.

**ინგლისში გაიმართა ფედერაციის თასის გათამაშების მატჩები. ბირმინგემის „ასტონ ვილამ", იორკის ორი და ეჰიოგუს გოლებით 3:0 გაანადგურა „ნოთს ქაუნთი". პირველი შეხვედრა 2:2 დასრულდა. ახლა „ასტონ ვილა" გათამაშების მეოთხე წრეში „დერბის" შეხვდება. მეორე დივიზიონელმა „სტოქპორტმა", ვინაც უკვე გამოთიშა „ბლექბერნი" და „ვესტ ჰემი", შინ 2:2 ითამაშა „საუთჰემპტონთან" და ახლა გადათამაშება მოუწევს. აღსანიშნავია, რომ მასპინძლები თავიდან იგებდნენ შეხვედრას. თასის 112-წლიანი გათამაშების მანძილზე „სტოქპორტმა" ერთხელაც ვერ მიაღწია ნახევარფინალს. ამ წყვილის გამარჯვებული „მიდლსბროს" შეხვდება.**

აშშ-ში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ბოლო წლებში სისტემატურად ეწყობა. წელს მონაწილეობდნენ მასპინძლები, მექსიკა, დანია და პერუ. ბოლო ტურში დანიელებმა პედერსენის ოთხი გოლის წყალობით 4:1 დაამარცხეს მასპინძლები, მექსიკელებმა კი 0:0 ითამაშეს პერუსთან. საბოლოოდ, ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა მექსიკამ, დანიელები კი მეორე ადგილზე გავიდნენ. მასპინძლებმა, პირველად 1994 წლის შემდეგ, ზედიზედ სამი შეხვედრა წააგეს.

**ინგლისურ კლუბთაგან „ჩელსიმ" ყველაზე ბოლოს შექმნა საკუთარი რადიო. „რადიო ჩელსი" 22 თებერვალს ამუშავდება. იმ დღეს „ჩელსი" „მანჩესტერ იუნაიტედს" შეხვდება. კლუბის რადიოს მთავარი მიზანი „ჩელსის" მატჩების რეპორტაჟებია. სადგურის შექმნის ამბავი გულშემატკივრებს კლუბის მოთამაშე-მწვრთნელმა რუუდ გულიტმა აცნობა. „რადიო ჩელსიზე" შეფობა ითავა „პლანეტ 24 რადიომ", რომელსაც როკ ვარსკვლავი ბობ გელდოფი ხელმძღვანელობს.**

იტალიელი ფორვარდის ჯუზეპე სინიორის შესყიდვის სურვილი გამო-



ჯუზეპე სინიორი

თქვა პრემიერლიგის რამდენიმე კლუბმა. მათ თავდამსხმელს წინადადებითაც მიმართეს: „არსენალმა" და „ნიუკასლმა" კონტრაქტი შემომთავაზეს. წელიწადში 3 მილიონ დოლარს გადამიხდიან. თანხა მართლაც ზღაპრულია. მათ გარდა „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ჩელსი" შემეხმიანენ. ამ საკითხზე სერიოზული დაფიქრება მმართებს" — განაცხადა „ბეპემ". ახლა „ლაციოსთან" კონტრაქტით სინიორი სეზონში მილიონ 250 ათას დოლარს იღებს. ზოგიერთი ბრიტანული გაზეთის ცნობით, კიგანი იმიტომ წავიდა „ნიუკასლიდან", რომ გუნდმა სინიორის გადაყვანა არ ისურვა. „თუ სადმე წავალ, ეს მხოლოდ კარგი პირობების გამო" — განაცხადა სინიორიმ. 1994-95 წლების სეზონის წინ „ლაციომ" სინიორის გაყიდვა განიზრახა, თუმცა ათასობით გულშემატკივარი კლუბის ოფისს შემოერტყა და ქვებით ფანჯრები ჩალეწა.

**იტალიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტი ჯერაც ვერ აურჩევიათ. მას შემდეგ, რაც ლუჩანო ნიცოლა, ლიგის პრეზიდენტი 1987 წლიდან, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე გახდა, ორჯერ მოეწყო არჩევნები, თუმცა პრეზიდენტობისთვის საჭირო ხმების ორი მესამედი, ანუ 26 ხმა, ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილმა თავმჯდომარემ და ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა ანტონიო მატარეზემ მხოლოდ 17 ხმა მიიღო, პრეზიდენტობის მეორე კანდიდატმა, „ბოლონიის" პრეზიდენტმა ჯუზეპე ფრასკარამ კი 14. არჩევნებში მონაწილეობდა „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი, თუმცა მას მხარი მხოლოდ ერთმა დაუჭირა.**

ბრაზილიაში ხუთშაბათს გარდაიცვალა წარსულში ცნობილი მოთამაშე და მწვრთნელი ენიო ანდრადე. იგი მშობლიურ პორტუ ალეგრეში, საკუთარ სახლში იპოვეს გარდაცვლილი. მისი საფეხბურთო კარიერა 1944 წელს დაიწყო, 1956 წელს კი ნაკრების შემადგენლობაში პანამერიკული თამაშები მოიგო. ანდრადე ბრაზილიური ფეხბურთის ისტორიაში ერთადერთი მწვრთნელია, რომელმაც ქვეყნის სამი ეროვნული ჩემპიონატი მოიგო.

**ესპანეთის ჩემპიონატის შეხვედრა „რაიო ვალეკანო" — „სევილია" მეორედ გადაიდო. დიდთოვლობის გამო ეს მატჩი ჯერ 5 იანვარს ვერ ჩატარდა, ახლა კი მიზეზად მინდვრის უვარგისობა დაასახელეს.**

ინგლისის „ნიუკასლის" ახალმა მწვრთნელმა კენი დალგლიშმა ახალი მოთამაშეების შესყიდვა დაიწყო. რამდენიმე დღის წინ მან პორტუგალიელი რაულ ოლივეირა გადაიყვანა, ახლა კი შვედეთის 21 წლამდე ნაკრების წევრის ოლაფ მელბერგის შესყიდვა მოიწადინა. სკანდინაველმა ნახევარმცველმა უკვე ივარჯიშა „ნიუკასლთან" ერთად, თუმცა საბოლოოდ მის გადასვლაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. მელბერგის კლუბი „დაგერფორსი" მოთამაშეში მილიონ გირვანქას ითხოვს. ამასობაში, 3 დეკემბერს, „მეცთან" უეფას თასის საპასუხო შეხვედრაში მიღებული ტრავმის შემდეგ, ვარჯიში განაახლა კოლუმბიელმა ფაუსტინო ასპრილიამ.

## ჟაკეს იმედი გაუმართლდა

**პორტუგალია - 0:2 საფრანგეთი**

**პორტუგალია: ბაია, კონსეისაუ, ჰელდერი (ჟორჟე კოშტა 46), კოუტა, დიმაში (კადეტე 69), ზენტუ, ოსიანუ (დომინგუში 21), პაულინიუ ხანტუში, რუი კოშტა (ხა პინტუ 46), ფიგუ (ნუნუ 46), ჟოაო პინტუ**

**საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი, ბლანი, დესაი, დეშამპი (ნგოტი 61), კარემბუ, ზიდანი, პირე (ბლონდე 78), ლეილი, ბა (ჯორკაეფი 61), დუგარი (ლოკო 78)**

— ისლა დამრჩენია, ფრანგებს მივულოცო. მათ ძლიერი გუნდი ჰყავთ და მოგებას იმსახურებენ — თქვა მატჩის შემდეგ პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელმა არტურ ჟორჟემ, რომელსაც 40 ათასი მაყურებლის სტვენა-ყვირილის მოსმენა მოუწია.

პრაგას სტადიონზე მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლებმა, ამ შეხვედრაში კი სტუმრებმა, პორტუგალიელებს ყოველმხრივ აჯობეს. აღსანიშნავია, რომ ისინი ერთად სამი თვის უთამაშებლები იყვნენ. ანგარიში მე-11 წუთზე გაიხსნა, როდესაც „მილანის" ფორვარდმა კრისტოფ დუგარიმ კარში დარტყმის სანაცვლოდ „იუვენტუსის" ნახევარმცველს დიდიე დეშამპს პასი დაუგორა და ბურთი ცარიელ კარში შეაგდებინა. მეორე გოლი კი სამფეროვანთა დებიუტანტის იბრაჰიმ ბას ნიჭის გაბრწყინების შედეგი გახლდათ. „ბორდოს" ნახევარმცველმა „ბარსელონას" ორ მოთამაშეს გამოაძვრო პირში ჩალა, ფერნანდო კოუტუ გააცურა, ვიტორ ბაია კი უშანსოდ დატოვა. ბარსელონელთაგან ამ მატჩში კიდევ ორი მონაწილეობდა, ლუიშ ფიგუ და ლორან ბლანი, რომელიც დიდოსტატურად ხელმძღვანელობდა თავისი გუნდის დაცვას.

მასპინძლებს ორი სახიფათო მომენტი ჰქონდათ: ჯერ პირველ ნახევარში, როდესაც დომინგუშმა ხარიხას ოდნავ გადააცილა და მეორეში, მანვე რომ ვერ ისარგებლა ფრანგების დაცვის უშეცდომოთესი შეცდომით.

— A გეგმა წარმატებით დასრულდა, ახლა B გეგმაზე გადასვლას ვაპირებ — განაცხადა ფრანგთა საოცრად კმაყოფილმა მწვრთნელმა ემე ჟაკემ. — ახალი გეგმის ამოქმედებას 26 თებერვალს, ჰოლანდიელთა წინააღმდეგ ვაპირებ. მოედანზე ნანახით ძლიერ კმაყოფილი დავრჩი. ეს სწორედ ის გახლდათ, რისი ნახვაც კარგა ხანია მსურდა. პირველადაა, ჩემს იმედებს ხორცი რომ შეესხა.

ჟაკემ საგანგებოდ აღნიშნა იბრაჰიმ ბას კარგი თამაში. მწვრთნელის შეფასებით ახალწვეულმა ისე იმოქმედა, გეგონება მთელი ცხოვრება საფრანგეთის ნაკრებში გაატარაო. ბას უფაციფუცო და ტექნიკურ ფეხბურთს ჟაკემ დაუჯერებელი უწოდა.

— თუ ზიდანსა და ჯორკაეფს ირგვლივ ტრიალს განვაგრძობთ, ჩაკეტილ წრეში მოვყვებით. ჩვენ კონკურენცია და ცვლილებები გვჭირდება — თქვა ფრანგთა ხელმძღვანელმა — პორტუგალიასთან შეხვედრამ კარგი სურათი დამანახა. აწი სიახლის დროა.


ფირმების რეგისტრაცია

აუდიტი

ყველაზე იაფად და სწრაფად (1 დღეში)

(შპს, ინდივიდუალური საწარმო, სს)

რუსთაველის 19.

ტელ.: 93-52-34, 99-09-84;

(18 საათიდან) 73-89-39

ვიყიდი

შეღავათიან ფასებში ტყუპების ჩასაჯდომ ნახმარ ეტლს მუშა მდგომარეობაში.

ტელ. 22-47-66

# ეთიოპიელთა რომაული არდადეგები

ორშაბათს ეთიოპიის ნაკრები იტალიაში ერთი დღით ჩაფრინდა. იქიდან ეთიოპიელები მაროკოში უნდა გაფრენილიყვნენ აფრიკის თასზე სათამაშოდ...

დელეგაციის 23 წევრიდან თექვსმეტმა (ყველა ფეხბურთელმა) ბარგი და პასპორტები სასტუმროში დატოვა და უჩუმრად გავიდა შენობიდან. მეორე დილით პოლიცია ნაკრების აეროპორტში გასაცილებლად მივიდა, მაგრამ სასტუმროში 23-დან მხოლოდ შვიდი კაცი — ორი ფეხბურთელი, მწვრთნელი და ოთხი ოფიციალური პირი დაუხვდა. პოლიციელები ჯერ კი დაიბნენ, მაგრამ ბარგი და პასპორტები რომ ნახეს, ვითარებაში უმალ გაერკვნენ. მალე იტალიის ტელევიზიით გამოცხადდა, რომ თუ ეთიოპიელები საელჩოში არ მივიდოდნენ, მათ ემიგრანტებად გამოაცხადებდნენ.

მომხდარის შესახებ აცნობეს იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს. სამინისტროს წარმომადგენელმა ლორენცო გალანტიმ კომენტარისგან თავი შეიკავა, თუმცა კი აღნიშნა, რომ ადრინდელ შემთხვევებში პოლიტიკური თავშესაფარის ყველა მსურველს უკან, სამშობლოში აბრუნებდნენ.

ამასობაში რომის ცენტრში ეთიოპიელთა თექვსმეტკაციანი ჯგუფი გამოჩნდა. როგორც შემდგომ გაირკვა, ოსტიადან (სადაც სასტუმრო იყო) რომამდე 12 კილომეტრი ფეხით ევლოთ და იტალიაში სასწავლებლად მყოფი თვისტომების დახმარებით მიეღწიათ რომამდე. ისინი თავდაპირველად რომის პოლიციის ოფისში მიიყვანეს. „ეთიოპიიდან დიდი ხნის წინ გვინდოდა გაქცევა. სამშობლოში რელიგიურ, ეთნიკურ და პოლიტიკურ პრობლემებს ვაწყდებით. ახლა ყველა ჩვენგანი მხოლოდ პოლიტიკურ თავშესაფარზე ფიქრობს, საფეხბურთო კარიერა ამჟამად ჩვენთვის მეორეხარისხოვანი საკითხია" — განუცხადა იტალიელ ჟურნალისტებს ნაკრების ფორვარდმა მოჰამედ ტიმამმა. პოლიციამ ოთხშაბათ საღამოს განაცხადა, რომ ის შვიდი პიროვნება, რომლებიც „აჯანყებულებს" არ აჰყვა, მეორე დილით პირველივე რეისით სამშობლოში დაბრუნდებოდა. მოგვიანებით თექვსმეტი ფეხბურთელი რომში განლაგებულ ეთიოპიის საელჩოში მიიყვანეს. იქ მათ შეხვდა საელჩოს წარმომადგენელი ბეკელე ბენგესა, რომელმაც შემდგომ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „არ ვიცი, რამ გადააწყვეტინა მათ ასეთი ნაბიჯის გადადგმა. ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ ეს კანონის დარღვევაა. უახლოეს მომავალში ამის თაობაზე საგანგებო სხდომა მოეწყობა და მათი ბედიც იქ გადაწყდება."

ეთიოპიის საელჩოდან ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას აცნობეს ყველაფერი. ნაკრების ამბით შეშფოთებულმა ფედერაციის პრეზიდენტმა სებსებე ჰაილე მარიამმა კაიროში, აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციაში წერილი აფრინა, ასეთი ამბავია და თამაში დროებით გადადეთო. კონფედერაციიდან მაროკოელებს აცნობეს თამაშის გადავადების შესახებ, თან დასძინეს, ჩვენს მითითებებს დაელოდეთო. ოთხშაბათ საღამოს ეთიოპიელებმა კონფედერაციისგან წერილი მიიღეს, ნაკრებს თუ არ შექმნით, აფრიკის თასის გათამაშებიდან გაგაძევებთო.

ხუთშაბათ დილით თექვსმეტი მოჯანყიდან ხუთმა აზრი იცვალა და სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. გაიგო თუ არა ეს ნაკრების უფროსმა მელესე ბეკელემ, განაცხადა, კარგია, შეცდომას რომ მიხვდნენ და უკან ბრუნდებიანო. მანვე დანარჩენთ ურჩია, ნულარ ჯიუტობთ და შინ დაბრუნდითო. იმავე დღით თორმეტი ეთიოპიელი რომი-ადის აბებას პირველივე რეისით სამშობლოში გაფრინდა. აეროპორტში ისინი პოლიციამ მიაცილა და მანამდე არ გამობრუნებულა, სანამ თვითმფრინავი საფრენ ზოლს არ მოსწყდა.

ამასობაში, ხუთშაბათის შუადღეს, დარჩენილი თერთმეტი ეთიოპიელი იტალიის ტელევიზიით გამოიყვანეს და თავიანთ „რომაულ არდადეგებზე" ალაპარაკეს.

ეთიოპიაში კი ამ დროს ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო სხდომა მიმდინარეობდა. ჰაილე მარიამმა ჯერ დიდხანს ისაუბრა, შემდეგ კი, საბოლოო განაჩენის გამოტანამდე ჯერ იმ თორმეტს მოვუსმინოთ, წუთიწუთზე რომ ჩამოფრინდებიანო, ბრძანა. სხდომის მონაწილენი ფრიად ნერვიულობდნენ, ბოლოს დაძაბულობამაც იფეთქა და მარიამმა ერთობ სისულელეები წამოროშა: „ეგენი იტალიაში კარიერის გაგრძელებაზე ოცნებობენ, მაგრამ ნუთუ იმას ვერ ხვდებიან, რომ ეთიოპიის ჩემპიონატში ვერ ბრწყინავენ და ნაკრებში საეჭვო გზებით მოხვდნენ."

მთელი ამ ხნის განმავლობაში იტალიაში დარჩენილი ეთიოპიელები საელჩოში ისხდნენ და ზვარაკად გამზადებული კრავებივით ელოდნენ ბედისწერის განაჩენს. საბოლოოდ რა და როგორ დასრულდა, გაზეთის გამოსვლის დროისთვის ცნობილი არ იყო.

**ლაშა ბოდშაძე**

## ვისია, ვისია...

პარიზელი ნიკოლა ანელკას წინასწარ ორწლიან კონტრაქტს ინგლისურ „არსენალთან" საფრანგეთში უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. ფრანგული კლუბის წარმომადგენლებმა „არსენალის" თანამემამულე მწვრთნელს განუცხადეს, რომ იგი ვერსად წაიყვანდა ანელკას, რადგან ამის უფლებას ვენგერს ქვეყნის კანონმდებლობა არ აძლევდა, მაგრამ არსენმა გული არ გაიტეხა და თქვა: „გაკვირვებული ვარ ფრანგების რეაქციით. მათგან ამას ნამდვილად არ ველოდი. ბოსმანის წესის თანახმად, ჩვენ ანელკას წაყვანა შეგვიძლია. ყველამ იცის ეს წესი, მაგრამ საფრანგეთში რატომღაც ფიქრობენ, რომ კანონი მათ გარდა ყველაზე ვრცელდება. ინგლისში, თუ მოთამაშის შენარჩუნება გინდა, უნდა გარისკო და 15 წლისას ხუთწლიანი კონტრაქტი შესთავაზო. საფრანგეთში კი ბავშვთა სკოლიდან უნდა წამოიყვანო, სწავლას მოწყვიტო, შემდეგ შესაძლოა აღმოაჩინო, რომ მისგან კარგი მოთამაშე ვერ დადგება და თავი გაანებო. ნუთუ ეს უფრო სწორეა? თუ რაიმეში შევცდით, „სენ-ჟერმენს" ბოდიშს მოვუხდით, მაგრამ ვიცი, ანელკა მათი საკუთრება აღარ იქნება. გაფორმებული კონტრაქტის ძალით მომავალი სეზონიდან იგი ჩვენ გვეკუთვნის. ასე რომ, მის გადაყვანაში ხელს ვერავინ შეგვიშლის."

17 წლის ანელკა, რომლის გამოც ატყდა ამხელა ამბავი, ექვსი თვით „პარი სენ-ჟერმენს" ეკუთვნის, თუმცა მოთამაშის კონტრაქტი ფრანგულ კლუბთან ივნისში იწურება.

სანამ ფრანგები ინგლისელებს ედავებიან, ესპანური „მარკის" ცნობით, ანელკამ მადრიდის „ატლეტიკოსთან" გააფორმა კონტრაქტი.

## ცსკა შესაძლოა მოხსნან

მოსკოვის ცესკაში ატეხილ აურზაურზე ახლახანაც გაუწყეთ, ამჯერად კი გაცნობებთ, რომ შესაძლებელია რუსთა პირველობამ სულაც უარმიელებოდ ჩაიაროს.

ცესკადან ჩემპიონატში მონაწილეობაზე ორი განაცხადი შევიდა, რამაც რუსეთის საფეხბურთო ლიგა ცალკე აღაშფოთა, ცალკეც დიდ საგონებელში ჩააგდო. არმიულ კლუბს 1 მარტამდე მისცეს ვადა საიმისოდ, რათა მოქიშპე მხარეებს ურთიერთპრეტენზიები და პრობლემები მოეგვარებინათ და 1997 წელს ჩემპიონატში მონაწილეობაზე ერთი განაცხადი წარმოედგინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ლიგა ცესკას მოკვეთით დაემუქრა.

საფეხბურთო ლიგის სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარემ ანატოლი გოროხოვსკიმ განაცხადა, რომ სიტუაცია ჯერაც გაურკვეველია და შეიძლება ისეც მოხდეს, რომ 14 მარტამდე, ანუ ჩემპიონატის დაწყებამდე ცესკამ პრობლემა ვერ მოაგვაროს და ჩემპიონატის მიღმა დარჩესო.

სამშაბათს რუსეთის საფეხბურთო კავშირმა სცნო ის ცესკა, რომელსაც ტარხანოვი ხელმძღვანელობს და მათი განაცხადი მიიღო, თუმცა არმიული სპორტის შეფმა ალექსანდრ ბარანოვსკიმ განაცხადა, რომ ტარხანოვის ცესკა უკანონოა და ფედერაციას მოსთხოვა, ჩემპიონატში მონაწილეობის განაცხადი სადირინის ცესკასგან მიეღოთ. მისივე თქმით, კლუბის აქციების 60 პროცენტი არმიას ეკუთვნის და ცესკას მფლობელებიც ისინი არიან, ტარხანოვი კი ამტკიცებს, რომ კლუბის აქციების 68 პროცენტი ჩემს თანამოაზრეს, საქმოსან ოლეგ კიმს ეკუთვნისო.

## სასამართლოს დარბაზიდან - 4



ვინჩესტერის სასამართლოში გრძელდება პროცესი, რომლის ოთხივე ბრალდებული — ბრიუს გრობელაარი, ჯონ ფაშანუ, ჰანს სეგერსი და მალაიზიელი ბიზნესმენი ჰენგ სუან ლიმი დანაშაულს უარყოფენ. ლიმს ბრალდება შორეული აღმოსავლეთის სანიძლაო სინდიკატის წარმომადგენლობა ინგლისში, ფაშანუს მასთან ერთად ფეხბურთელების მოქრთამვა, მეკარეებს გრობელაარსა და სეგერსს კი ქრთამის საზღაურად გოლების ძალად გაშვება. თუ ოთხეულს დანაშაული დაუმტკიცდა, შვიდწლიანი პატიმრობა ელის.

ხუთშაბათს ბრალდებამ სასამართლოს წარუდგინა გაზეთ „სანის" მიერ 1994 წლის ოქტომბერში ფარული კამერით გადაღებული ვიდეომასალა. შეგახსენებთ, რომ „სანი" დანაშაულის კვალზე გრობელაარის ყოფილმა ბიზნეს-პარტნიორმა და მეგობარმა კრის ვინსენტმა დააყენა. ვინსენტს და გრობელაარს ზიმბაბვეში (ორივეს სამშობლოა) საფარის ტურისტული ცენტრის გაშენების პროექტი ჰქონდათ შედგენილი, რომელზეც მოგვიანებით გრობელაარმა უარი თქვა, რითაც ვინსენტი ძლიერ აზარალა. გაკოტრებულმა და განაწყენებულმა ვინსენტმა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გრობელაარის მალული საქმიანობა (საფეხბურთო მექრთამეობა) „სანს" გაანდო, რაშიც, ცხადია, ფული მიიღო. გაზეთმა თავის მხრივ, ვინსენტის დახმარებით, ფარული კამერით გადაიღო ფილმი, 1994 წლის 8 ნოემბერს კი სენსაციური სტატიაც გამოაქვეყნა.

სასამართლოსთვის ხუთშაბათს წარდგენილ ვიდეომასალაში, რომელიც საუთჰემპტონის ერთ-ერთ სასტუმროშია გადაღებული, გრობელაარი ამბობს:

— მას აქ ერთი პიროვნებაც ჰყავს, ჯ. ფ. (J. F.), დანარჩენები კი ამჟამად ინგლისში არ არიან.

ვინსენტმა ნაფიც მსაჯულებს განუმარტა, რომ ჯ. ფ. ბრალდებული ჯონ ფაშანუა. მას ერთხელაც ახსენებს გრობელაარი, ასეთ კონტექსტში:

— ჯ. ფ. საუკეთესო „მერსედესით" დადის აქეთ-იქით.

იმავე ფირზე:

ვინსენტი: — რითი ცხოვრობს მოკლე კაცი?

გრობელაარი: — არაფერს აკეთებს, ჩადის იქ და უკან ბრუნდება.

ვინსენტი: — ესე იგი ანაწილებს?

გრობელაარი: — ჰო.

მოკლე კაცი ჰენგ სუან ლიმის მეტსახელია, გრობელაარმა შეარქვა, ამ საუბრიდან კი ჩანს, რომ იგი ინგლისსა და მალაიზიას (სინდიკატს) შორის შუამავლის ფუნქციებს ასრულებდა.

მართლა ასე იყო თუ არა, ჯერ კიდევ დასადგენია. ხუთშაბათს კი გრობელაარის ადვოკატმა როდნი კლივენმა სასამართლოს წინაშე წარადგინა მოწმე ნაიჯელ კლაფი.

ნაიჯელ კლაფი ბრალდებულთან ერთად კარგა ხანს თამაშობდა „ლივერპულში". შემდეგ ერთხანს „მანჩესტერ სიტიში" იყო, ახლა კი „ნოტინგემ ფორესტშია". მისი სასამართლოში გამოძახების მიზეზი გახლდათ ის, რომ 1994 წლის თებერვალში, „ნორვიჩთან" ფრედ დასრულებული თამაშის შემდეგ, მან გრობელაართან და ვინსენტთან ერთად იმგზავრა მანქანით.

— გრობელაარი ძლიერ მოთამაშედ იყო ცნობილი? — ჰკითხა კლაფს ვექილმა.

— დიახ.

— ყოველთვის გამარჯვების დიდი ჟინით იყო შეპყრობილი?

— დიახ.

— იგივეს ფიქრობდნენ მისი სხვა თანაგუნდელებიც?

— დიახ, ეს გასახდელში საერთო აზრი იყო.

რაც შეეხება „ნორვიჩთან" მატჩის შემდგომ ამბავს, კლაფმა გაიხსენა, რომ საჭესთან ვინსენტი იჯდა, [illegible] საეჭვო არაფერი მომხდარა, ბრალდება კი ამტკიცებს, რომ იმ საღამოს გრობელაარი ლონდონს ჩავიდა, სადაც ლიმს შეხვდა. შესაძლოა, ეს მას მერე იყო, რაც კლაფი მანქანიდან ჩამოსვეს.

დაკითხეს კიდევ ერთი მოწმე, ჯონ ფაშანუს ბიზნეს-პარტნიორი, ვინმე გლენ მეისონიც. მეისონს მოათხრობინეს ფაშანუს და მისი მეუღლის მელისა კაზამაპსის იმდროინდელი რთული ურთიერთობების ამბავი. მან გაიხსენა, რომ ფაშანუს მელისას მოსატყუებელი ასეთი ხერხი ჰქონდა:

— თუ ღამეს ვინმე სხვა ქალთან ატარებდა, რეკავდა და ეუბნებოდა, მე მეისონთან ვარ, ამაღამ ვერ მოვალო.

მეისონმა თქვა, რომ ლიმი და ფაშანუ მეგობრები იყვნენ. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს ფაშანუს სახლსა და ოფისში. მათი საერთო ინტერესი ფეხბურთი იყო. მოწმეს ხშირად უნახავს, როგორ თხოვდა მალაიზიელი მეგობარს სტადიონის ბილეთებს.

ვინსენტის ჩვენებაზე დაყრდნობით ბრალდება, როგორც ცნობილია, ამტკიცებს, რომ „ნიუკასლ" — „ლივერპულის" მატჩის შემდეგ (1993 წლის ნოემბერი) სამი გოლის გაშვებისთვის გრობელაარმა 40 ათასი გირვანქა მიიღო. ფული მას თითქოსდა ფაშანუმ გადასცა დიპლომატით. მეისონმა დაადასტურა, რომ ფაშანუსა და გრობელაარის საუბრის მეორე ნახევარს შეესწრო. გაიხსენა, რომ ისინი საფარის ტურისტულ ცენტრზე საუბრობდნენ, მაგრამ დიპლომატი არ შეუმჩნევია. არც მაშინ, მეკარე ბინიდან რომ გადიოდა.

აღსანიშნავია, რომ ხვალ გრობელაარს ნაკრებში აქვს სათამაშო. აფრიკის თასის შესარჩევ მატჩში ზიმბაბვე განას ხვდება. ზიმბაბვეს ფეხბურთის ასოციაციის გენერალური მდივნის ფილ ჰვატას თქმით, იგი დაუკავშირდა ვინჩესტერში მოსამართლეს და ფეხბურთელის ორიოდ დღით სამშობლოში გაშვება თხოვა. ჰვატამ განაცხადა, რომ მოსამართლე დაყაბულდა.

სასამართლო გრძელდება.

**ზიზა ქობახიძე**


# ბავშვთა კვება

# Gerber

## ახალი სიცოცხლის უმშვენიერესი დასაწყისი

### ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული ლიდერის გერბერის პატარა ქილებში თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობაა

**Gerber** კომპანია გერბერის პროდუქციაში არ გამოიყენება არანაირი ქიმიური კონსერვანტი

**Gerber** 1928 წლიდან მოყოლებული კომპანია გერბერმა დაამზადა 60 მილიარდამდე საკვები პროდუქტის შესაფუთი და არ ყოფილა პროდუქტის მიკრობიოლოგიური დაბინძურების არცერთი შემთხვევა. შესაბამისად — პროდუქტის თერმოგადამუშავებასთან დაკავშირებული მოწამვლის არცერთი ფაქტი.

**Gerber** ამერიკის ზრდასრული მოსახლეობის ნახევარზე მეტი თავის დროზე „გერბერის ჩვილი" იყო.

ფირმა გერბერი 1928 წლიდან უზრუნველყოფს ამერიკის შეერთებული შტატების ბავშვთა უმრავლესობისა და მილიონობით პატარის კვებას მთელ მსოფლიოში.

# სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

**ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი.** გადადებული მატჩები

25-26 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| იფსვიჩი — ვესტ ბრომვიჩი | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| სვინდონი — გრიმსბი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ოლდემი — ჰადერსფილდი | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| პორტ ვეილი — საუთენდი | 1,5 | 3,1 | 5,0 |

**ინგლისის თასი. მესამე წრე**

25 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრენტფორდი — მანჩესტერ სიტი | 3,0 | 3,0 | 1,9 |
| ქოვენთრი — უოქინგი | 1,1 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ლიდსი — კრისტალ პალასი | 1,35 | 3,3 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ვესტ ჰემი — რექსჰემი | 1,15 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ბოლტონი — ლუთონი | 1,3 | 3,8 | 6,5 |

**ინგლისის თასის მეოთხე წრე**

25 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბირმინგემი — სტოქპორტი | 1,35 | 3,3 | 6,5 |
| ქუინზ პარკი — ბარნსლი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| პორტსმუთი — რედინგი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| კარლისლი — შეფილდ უენსდეი | 6,5 | 3,8 | 1,3 |
| ევერტონი — ბრედფორდი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| ლესტერი — ნორვიჩი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — უიმბლდონი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| დერბი ქაუნთი — ასტონ ვილა | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| ჰედნესფორდი — მიდლსბრო | 9,0 | 4,0 | 1,2 |
| 1:0 | 3,0 | 3,4 | 1,5 |

26 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიუკასლი — ნოტინგემი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| ჩელსი — ლივერპული | 2,3 | 2,6 | 2,6 |

**იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XVIII ტური**

26 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — კალიარი | 1,4 | 3,0 | 7,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,4 | 1,9 |
| ინტერი — უდინეზე | 1,3 | 3,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| იუვენტუსი — რეჯანა | 1,15 | 4,4 | 10.0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ლაციო — ბოლონია | 1,7 | 2,8 | 4,2 |
| ნაპოლი — პარმა | 1,8 | 2,6 | 4,0 |
| პიაჩენცა — რომა | 2,6 | 2,6 | 2,3 |
| სამპდორია — პერუჯა | 1,3 | 3,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| ვერონა — მილანი | 3,8 | 3,0 | 1,7 |
| ვიჩენცა — ფიორენტინა | 2,0 | 2,8 | 3,0 |

**იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XIX ტური**

25 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლუკეზე — კოზენცა | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |

26 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| დი სანგრო — ბარი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| ემპოლი — კრემონეზე | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ფოჯა — კიევო | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ლეჩე — ჩეზენა | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| პადოვა — პესკარა | 2,0 | 2,6 | 3,2 |
| პალერმო — ჯენოა | 1,9 | 2,6 | 3,4 |
| რავენა — ტორინო | 2,6 | 2,6 | 2,3 |
| რეჯინა — სალერნიტანა | 1,9 | 2,7 | 3,3 |
| ვენეცია — ბრეშია | 2,9 | 2,9 | 2,0 |

**ესპანეთის ჩემპიონატი. XXI ტური**

25 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ესტრემადურა — დეპორტივო | 4,7 | 3,2 | 1,5 |
| ვალენსია — ესპანიოლი | 1,3 | 3,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |

26 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| რეალი — სელტა | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| ბილბაო — ერკულესი | 1,3 | 3,4 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ბარსელონა — რაიო ვალეკანო | 1,15 | 4,4 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| სპორტინგი — ოვიედო | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| სევილია — რასინგი | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| ლოგრონიესი — სოსიედადი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| კომპოსტელა — სარაგოსა | 1,9 | 3,0 | 3,0 |
| ტენერიფე — ატლეტიკო | 2,1 | 2,8 | 2,8 |

27 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვალიადოლიდი — ბეტისი | 2,8 | 2,8 | 2,1 |

**საფრანგეთის ჩემპიონატი. XXIV ტური**

25 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნანტი — ლე ავრი | 1,3 | 3,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ბორდო — ნიცა | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| მარსელი — ბასტია | 1,8 | 2,6 | 4,0 |
| სტრასბური — რენი | 1,5 | 2,9 | 5,6 |
| ნანსი — მეცი | 2,8 | 2,6 | [illegible] |
| კანი — ლანსი | [illegible] | 2,8 | 3,2 |
| გინგამი — ლილი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| მონპელიე — ლიონი | 2,1 | 2,6 | 3,0 |

26 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| მონაკო — პარი სენ-ჟერმენი | 1,9 | 2,6 | 3,4 |
| კაენი — ოსერი | 3,8 | 3,0 | 1,7 |

**პორტუგალიის ჩემპიონატი. XVII ტური**

25 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბენფიკა — ბელენენსეში | 1,15 | 4,7 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| სპორტინგი — ბოავიშტა | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |

26 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრაგა — გიმარაეში | 1,35 | 3,2 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| სეტუბალი — ლეცა | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ლეირია — მარიტიმუ | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| შავეში — რიუ ავე | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| სალგეირუში — ფარენსე | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| ამადორა — ესპინიუ | 1,8 | 2,8 | 3,6 |

27 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჟილ ვისენტე — პორტუ | 12,0 | 5,0 | 1,1 |
| 1:0 | 4,0 | 3,4 | 1,3 |

**თურქეთის ჩემპიონატი. XIX ტური**

25 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტრაბზონსფორი — გალათასარაი | 1,8 | 2,9 | 3,4 |

26 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვანსფორი — ბეშიქთაში | 8,0 | 3,4 | 1,3 |
| 1:0 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| ფენერბაჩე — გაზიანთებსფორი | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,4 |

**ბელგიის ჩემპიონატი. XX ტური**

25-26 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ანდერლეხტი — მუსკრონი | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| გენკი — მოლენბეკი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| სენტ ტრიუდენი — ბრიუგე | 5,3 | 3,4 | 1,4 |
| 1:0 | 2,1 | 3,4 | 1,9 |
| ლიერსი — ეკერენი | 1,25 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| გენტი — მეხელენი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ანტვერპენი — აალსტი | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2.0 |
| სტანდარდი — ლოკერენი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| [illegible] ბრიუ[illegible] — ლომელი | 4,2 | 3,4 | 1,5 |
| [illegible]არელბეკი — შარლერუა | 1,35 | 3,3 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.


# CROCO ქუთაისში

საქართველოს დასავლეთ დედაქალაქში მუშაობს სპორტული ლატარია "CROCO"

უკვე კარგა ხანია ქუთაისელები და ქუთაისის სტუმრებიც სარგებლობენ:

- ყველაზე მაღალი კოეფიციენტებით
- ყველაზე მოქნილი და ხელსაყრელი წესებით
- ყველაზე ვრცელი და მრავალფეროვანი პროგრამით
- ყველაზე ოპერატიული და დეტალური ინფორმაციით

და, რა თქმა უნდა, მოგებული თანხის დაუყონებლივ მიღების სრული გარანტიით!

მისამართი: ქუთაისი, პუშკინის ქუჩა №16
დასავლეთ საქართველოს ტელერადიოკორპორაცია „ივერიონის" შენობა

— ხელბურთი —

# ხელბურთელები ფინეთში წავიდნენ

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები 23 იანვარს თბილისიდან სანქტ-პეტერბურგს გაემგზავრა, იქიდან კი ფინეთში ჩავა და 30 იანვარს იქაურ ეროვნულ გუნდს შეხვდება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში. ასე ადრიანად გამგზავრება იმით აიხსნება, რომ ნაკრების მწვრთნელებს სურთ, ფინეთამდე სანქტ-პეტერბურგში სპარინგ-პარტნიორი გამოძებნონ. გუნდი თბილისიდან ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: მეკარეები — როლანდ ერაძე და ირაკლი კენჭაძე; მოედნის მოთამაშეები — გუნდის კაპიტანი ვახტანგ მეიფარიანი, ბექა ორჯონიკიძე, ანდრო ანდრიაშვილი, კობა თორდია, გიორგი გვაზავა, სერგო დათუკიშვილი. გუნდის უფროსი მწვრთნელია გია ნარიმანიძე, მწვრთნელი ზაზა დოლიძე. რუსეთში ამათ შეუერთდებიან ლეგიონერები ტიტე კალანდაძე, გარი თურქია, ალეკო ბოყოჩაძე, ირაკლი კეკელიძე მაკედონიიდან და ლევან გელაშვილი საბერძნეთიდან. საპასუხო მატჩი თბილისში 2 თებერვალს შედგება.

— ჭადრაკი —

# წარმატება ბასკეთში

ესპანეთში, ბასკურ ქალაქ პამპლონაში მეშვიდედ გაიმართა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ბოლო სამი წელია საკმაოდ ავტორიტეტული გახდა ჭადრაკის სამყაროში. ახლაც, ათ მონაწილეს შორის იყვნენ მსოფლიოს საჭადრაკო ელიტაში მყოფი დიდოსტატები — ინგლისელი ჯონათან სპილმენი, უნგრელი ზოლტან ალმაში, ამერიკელი ბორის გულკო და ქართველ მოჭადრაკეთა ლიდერი ზურაბ აზმაიფარაშვილი. მონაწილეობდნენ აგრეთვე ცნობილი შვედი ქალი პია კრამლინგი და 13 წლის უკრაინელი ვუნდერკინდი რუსლან პონომარიოვი, რომელიც 18 წლამდე მოჭადრაკეთა შორის ევროპის ჩემპიონია. დანარჩენი მონაწილენი იყვნენ ესპანელები, რომელთაგან სამი ესპანეთის ოლიმპიური გუნდის წევრია. აზმაიფარაშვილმა დაუმარცხებლად ითამაშა, 9 შესაძლებლობიდან 6 ქულა მოაგროვა და პირველ-მესამე ადგილები გაიყო სპილმენთან და ალმაშისთან ერთად.

— კალათბურთი —

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

23 იანვარი

**მაიამი ჰითი — ტორონტო რეპტორზი 99:87, ჩიკაგო ბულზი — კლივლენდ კავალიერზი 87:71, ნიუ იორკ ნიქსი — ინდიანა პეისერზი 92:90, ორლანდო მეჯიქი — მილუოკი ბაქსი 96:92, ჰიუსტონ როკიტსი — ნიუ ჯერსი ნეთსი 111:104, მინესოტა ტიმბერვულვზი — ვანკუვერ გრიზლიზი 95:76, დეტროიტ პისტონზი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 94:79, ლოს ანჯელეს კლიპერზი — სიეტლ სუპერსონიქსი 102:100**

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლანტიკის დივიზიონი | | | |
| მაიამი | 30 | 11 | 73,2 |
| ნიუ იორკი | 29 | 12 | 70,7 |
| ვაშინგტონი | 20 | 20 | 50,0 |
| ორლანდო | 18 | 19 | 48,6 |
| ნიუ ჯერსი | 11 | 28 | 28,2 |
| ბოსტონი | 9 | 28 | 24,3 |
| ფილადელფია | 9 | 31 | 22,5 |
| ცენტრალური დივიზიონი | | | |
| ჩიკაგო | 36 | 5 | 87,8 |
| დეტროიტი | 29 | 11 | 71,8 |
| ატლანტა | 26 | 12 | 68,4 |
| შარლოტი | 23 | 17 | 57,5 |
| კლივლენდი | 22 | 18 | 55,0 |
| ინდიანა | 19 | 20 | 48,7 |
| მილუოკი | 19 | 21 | 47,5 |
| ტორონტო | 14 | 26 | 35,0 |
| შუა-დასავლეთის დივიზიონი | | | |
| ჰიუსტონი | 32 | 10 | 76,2 |
| იუტა | 28 | 13 | 68,3 |
| მინესოტა | 19 | 22 | 46,3 |
| დალასი | 13 | 25 | 34,2 |
| დენვერი | 12 | 29 | 29,3 |
| სან ანტონიო | 10 | 28 | 26,3 |
| ვანკუვერი | 8 | 35 | 18,6 |
| წყნარი ოკეანის დივიზიონი | | | |
| სიეტლი | 30 | 12 | 71,4 |
| ლეიკერზი | 29 | 12 | 70,7 |
| პორტლენდი | 23 | 18 | 56,1 |
| საკრამენტო | 17 | 24 | 41,5 |
| გოლდენ სტეიტი | 16 | 24 | 40,0 |
| კლიპერზი | 15 | 24 | 38,5 |
| ფინიქსი | 15 | 26 | 36,6 |

— ჰოკეი —

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# გრანდყოფილთა ძნელი ჟამი

**22 იანვარი. ჰართფორდი — ფლორიდა 2:1, ბუფალო — მონრეალი 6:1, ოტავა — ბოსტონი 1:4, აილენდერზი — ედმონტონი 8:1, ვაშინგტონი — რეინჯერზი 3:5, ტორონტო — კალგარი 5:3, დეტროიტი — ფილადელფია 2:2, ჩიკაგო — ვანკუვერი 3:4, სან ხოსე — ლოს ანჯელესი 7:2, ანაჰაიმი — ნიუ ჯერზი 3:1**

**23 იანვარი. ბოსტონი — ფლორიდა 1:4, პიტსბურგი — კოლორადო 3:4, სენტ-ლუისი — ვანკუვერი 4:3, ფინიქსი — ანაჰაიმი 6:3.**

მძიმე სიტუაციაში იმყოფებიან ლიგის ორი ყველაზე ტიტულოვანი გუნდები, მონრეალი და ბოსტონი. ბოსტონელი „დათვები" ამჯერად დივიზიონის მეხუთე ადგილზე იმყოფებიან და ბოლო ოც წელიწადში პირველად ვერ ხვდებიან სტენლის თასზე, ამიტომ ძალთა მაქსიმალური კონცენტრაცია სჭირდებათ. ბოლო ორ მატჩში გუნდმა გარდამავალი წარმატებით იასპარეზა. თავიდან გასვლაზე საკმაოდ იოლად სძლია მედივიზიონე ოტავას 4:1, მაგრამ თავის მოედანზე ვერაფერი გაუხერხა ლიგის ყველაზე დახურულ გუნდს, ფლორიდას, რომლის შემადგენლობაში ამჯერად დვორჟაკი-შეპარდის დუეტი გამოირჩეოდა. პირველმა ბოლო ორი შაიბა შეაგდო (სულ 12), ხოლო შეპარდმა 4 (1+3) ქულა მიითვალა. რაც შეეხება მონრეალს, სტენლის თასის 23-გზის მფლობელის არასტაბილური მდგომარეობა იმითაც უარესდება, რომ ბევრი წამყვანი მოთამაშე აკლია. ამჯერად ტექნიკურ კანადელებს მოუგო ლიგის ყველაზე აგრესიულმა გუნდმა ბუფალომ, რომლის შემადგენლობაში ბრწყინვალედ გამოიყურება ჩეხი გოლკიპერი ჰაშეკი.

ლიგის კიდევ ერთი უძველესი გუნდის, ტორონტოს ძირითადი მიღწევები შორეულ წარსულშია, ამჟამად კი ძალზე სავალალო მდგომარეობაშია. თუმცა ბოლო თამაშში მან შეძლო 7 მატჩიანი წაგებიანი სერიის შეწყვეტა და ერთ-ერთ კონკურენტს, კალგარის აჯობა. აღსანიშნავია, რომ ტორონტოში, ისევე როგორც ბოსტონში, ვეტერანები ქმნიან ამინდს და თუ მათ თამაში მისდით, გუნდიც იგებს. ამჯერად შვედ სუნდინს (1+1, 29) ღირსეული დახმარება გილმორმა გაუწია და ხუთივე შეგდებულ შაიბაში პასები მიითვალა.

ედმონტონის და აილენდერზის საუკეთესო წლები 90-იანებზე მოდის. „მეკუნძულეები" 80-83 წლებში ზედიზედ ოთხჯერ, ხოლო ედმონტონი 84-88 წლებში ხუთჯერ ფლობდნენ თასს. ახლა ორივე გუნდი განახლების პროცესში იმყოფება და როგორც ახალგაზრდებით დაკომპლექტებულ გუნდებს, არასტაბილობა ახასიათებთ. მართალია ბოლო ხანს ედმონტონი უკეთ გამოიყურება, მაგრამ პირად შეხვედრაში ნიუ-იორკელებმა იმარჯვეს და გაანადგურეს „მენავთობეები". აღსანიშნავია ახალბედა მაკეიბის (1+2) თავგამოდება. მან კონგის (2+1) სამეულთან ერთად 6 შაიბა მოაწყო, გამოჯანმრთელებულმა ჰალფიმ კი 2 (1+1) დაამატა.

ანაჰაიმელი კარია ბოლო თამაშებში უქულოდ არ ტოვებს მოედანს. ორი დღის განმავლობაში მან 5 (4+1) ქულა დააგროვა, მაგრამ მისი კლუბი მაინც არასტაბილურად თამაშობს და ნიუ ჯერზისთან შთამბეჭდავი მოგების შემდეგ გაცილებით სუსტ ფინიქსთან 3:6 დამარცხდა. არადა კარიამ აქ ჰეთ-თრიქი გააკეთა (სეზონში მეორე), მაგრამ მისი მუდმივი პარტნიორი სელიანე (2 პასი) ყოფილმა თანაკლუბელებმა არ გაახარეს. ყოფილმა ანაჰაიმელმა ტვერდოვსკიმ (სწორედ სელიანეზე გაცვალეს) 4 პასი გააკეთა, ბოლო წერტილი კი ტკაჩუკმა დასვა. ეს მისი 30-ე გოლია და ლემიესთან ერთად მეორე ადგილს იყოფს (პირველი იაგრია — 41).

ტურის ყველაზე საინტერესო თამაში კი პიტსბურგში შედგა. მასპინძლებმა, რომელთაც ზურგნატკენი ლემიე აკლდათ, თავიდანვე წინ გაუშვეს „ეველანში", შემდეგ დიდი ძალისხმევით შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ოვერტაიმში კოლორადოელთა კამენსკის და დიდმარშის კომბინაცია გამოეპარათ და 14-მატჩიანი წაუგებელი სერიის შემდეგ პირველად დამარცხდნენ. დიდმარშმა კი 4 (2+2) ქულა დააგროვა და მატჩის საუკეთესო მოთამაშეც გახდა. გუნდთან ერთად შეუწყდა სარეკორდო სერია „პინგვინელთა" გოლკიპერ ლალიმსაც (14 მოგება და 2 ფრე).

ერთნაირი ანგარიშით, მაგრამ სხვადასხვა შედეგით ითამაშა ვანკუვერმა. თუ ჩიკაგოში მას ბედი სწყალობდა და ოვერტაიმში მოგილნიმ (1+1) გაამარჯვებინა, სენტ ლუისში ბოლო წუთებზე 2 ქულა დაკარგა, აქ მასპინძელთა საუკეთესო სნაიპერმა ჰალმა 2 შაიბა შეაგდო (სულ 23).

**სამველ ლარიბიანი**

— ოფიციოზი —

# პატრონი ერთი სჯობს

ქალაქ თბილისის მერიის სპორტის სამმართველო — დღეისათვის ასე იწოდება ერთ დროს თბილისის სპორტკომიტეტად ცნობილი ორგანიზაცია, რომელმაც 90-იან წლებში ორჯერ გამოიცვალა დასახელება, თუმცა მიზნები და ამოცანები უცვლელი დარჩა; ისევე, როგორც სამმართველოს ხელმძღვანელობა. აგერ უკვე შვიდი წელიწადია დედაქალაქის სპორტს ვლადიმერ კანკავა თავკაცობს — პრინციპული და ავტორიტეტული პიროვნება, ვის აზრსაც პატივს სცემენ და ანგარიშს უწევენ, თუმცა სწორედ პრინციპულობისა და პირდაპირობის გამო, არაერთხელ გადაყრია უსიამოვნებას.

ვლადიმერ კანკავა დღეს „სარბიელის" სტუმარია.



**— თბილისის სპორტის სამმართველოს დებულების პირველივე მუხლში ნათქვამია, რომ სამმართველო „პასუხს აგებს დედაქალაქის მოსახლეობის ფიზიკური წრთობისა და გაჯანსაღების საქმის ორგანიზაციისა და სრულყოფისათვის... დარგის მუშაკების, სპორტსმენების, ვეტერანების სოციალური დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის"... ფრიად მნიშვნელოვანი და საპატიო მოვალეობაა, მაგრამ თქვენი სამმართველოს ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობათა კვალობაზე, რამდენად რეალურად გესახებათ მათი აღსრულება?**

— ცხადია, ყველაფერს ვერ ვწვდებით, ყველა წამოწყება ბოლომდე ვერ მიგვყავს და ამას არც ვმალავთ. ერთია მოთხოვნა და სურვილი, სხვაა — შესაძლებლობა. სამწუხაროდ, ბიუჯეტი და ჩვენს ხელთ არსებული ძალები იმის საშუალებას არ იძლევა, რომ ქალაქის მოსახლეობას გაჯანსაღებისა და სპორტში მეცადინეობის თუნდაც მინიმალური პირობები შევუქმნათ. მაგრამ, ამავე დროს, შემიძლია ისიც გითხრათ, რომ ჩვენი სამმართველო ცდილობს სპორტის საკეთილდღეოდ მაქსიმალურად გამოიყენოს ყველაფერი — კანონით თუ დებულებით მინიჭებული უფლებები, სახსრები, სპორტული ბაზები, თანამშრომელთა გამოცდილება და ენთუზიაზმი...

**— ჰო ამბობენ, ენთუზიაზმის დრო წავიდაო?**

— თუ არა ენთუზიასტი, აბა, რა შეიძლება ეწოდოს ადამიანს, რომელიც თხუთმეტ-ოც ლარად მუშაობს? მე თუ მკითხავთ, სპორტი კვლავ მათს მხრებზე დგას და ამიტომაც განსაკუთრებით დასაფასებელია იმ ადამიანთა თავდადება, ვინც ძნელბედობის ჟამს საყვარელ საქმეს არ უღალატა და დღესაც ჩვენთან საქმიანობს.

**— რამდენი კაცი მუშაობს თბილისის სპორტის სამმართველოს აპარატში?**

— ოცდახუთი.

**— ხელფასის თვიური ფონდი რამდენია?**

— ხუთასორმოცდაათი ლარი. რაც შეეხება სამმართველოს ბიუჯეტს, შარშან, მაგალითად, მერიამ ასი ათასი ლარი გამოგვიყო. და ეს თანხა სპორტის განვითარებას — სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ორგანიზაციას, შეჯიბრებათა მოწყობას, საერთაშორისო ტურნირებზე გუნდების მივლინებას მოხმარდა. წლის მანძილზე უცხოეთში საქალაქო თუ რესპუბლიკური სპორტული დელეგაციების ოცზე მეტი მივლინება დავაფინანსეთ. მოგეხსენებათ, ქვეყნის საუკეთესო ძალები თბილისშია თავმოყრილი, ნაკრები გუნდები მეტწილად სწორედ დედაქალაქის ბაზებზე გადიან საწვრთნელ შეკრებებს, აქვე იმართება ეროვნული ჩემპიონატებისა თუ საერთაშორისო ტურნირების აბსოლუტური უმრავლესობა. ეს იმას ნიშნავს, რომ თბილისის სპორტული ორგანიზაცია აქტიურადაა ჩართული ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს.

**— ზემოთ სპორტის სამმართველოს დებულება ვახსენეთ, დოკუმენტი, რომელიც ხუთი წლის წინ ამოქმედდა და, ბუნებრივია, კორექტივების შეტანა მოგიწევთ. მით უმეტეს, უკვე გვაქვს კანონი სპორტის შესახებ...**

— სპორტის შესახებ კანონის მიღება უთუოდ წინგადადგმული ნაბიჯია. ამ დოკუმენტს დიდი ხანი ელოდა სპორტის სამყარო, თუმცა პროცესი ამით არ დასრულებულა. კანონი სრული ძალით რომ ამოქმედდეს, აუცილებელია კანონქვემდებარე აქტების მიღება. ცხადია, ჩვენი საქმიანობაც საკანონმდებლო ბაზას დაეყრდნობა და ზემდგომთა გადაწყვეტილებებს დაექვემდებარება. შესაბამისად გადახალისდება ჩვენი სამმართველოს დებულებაც. სიტყვამ მოიტანა და, შარშან, როცა სახელმწიფოს მეთაურმა სპორტის თაობაზე სპეციალური ბრძანებულება გამოსცა, თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტი ამას საგანგებო დადგენილებით გამოეხმაურა, დედაქალაქის ათივე რაიონში აღდგა სპორტის განყოფილებები და ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტთა სამ-სამი საშტატო ერთეული; ამას გარდა, სტრატეგიული მნიშვნელობის რვა სპორტული ობიექტის კომუნალური გადასახადი თავის თავზე აიღო ქალაქის მერიამ.

**— ძალიან კარგი, მაგრამ დანარჩენებს რა ეშველებათ? ქალაქის სპორტული მეურნეობა ომსა და ათას უბედურებას თუ გადაურჩა?**

— საყოველთაო არეულობის პერიოდში საეჭვო პირები და ორგანიზაციები სპორტული ბაზებითაც „დაინტერესდნენ"; არაერთი ნაგებობა გაპარტახდა და გაიძარცვა, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შევინარჩუნეთ — დიდი სპორტული ნაგებობებიც და მარტივი ტიპის სპორტული მოედნებიც. დღეს ყველა ბაზა კანონიერ პატრონს პოულობს, მაგრამ, სამწუხაროდ, უსახსრობის გამო სარემონტო სამუშაოების დაწყება ვერ ხერხდება და ამ მიზეზით ბევრი სპორტული ობიექტი სრული დატვირთვით ვერ მუშაობს. განსაკუთრებით ჭირს ზამთრის პერიოდში. მერია გვპირდება, რომ გაიზრდება ჩვენი სამმართველოს ბიუჯეტი, იმედი გვაქვს, რაიონულ განყოფილებებსაც გაუჩნდებათ სახსრები და თუ ასე იქნება, მათი ნაწილი მოედნების კეთილმოწყობას მოხმარდება. მინდა იცოდეთ, რომ მერიაშიც და მუნიციპალიტეტშიც სპორტს არაერთი გულშემატკივარი ჰყავს, მათი კეთილგანწყობა კი იმის გარანტიაა, რომ ახლო მომავალში ქალაქში სპორტული ცხოვრება უფრო ინტენსიური გახდება.

**— თქვენს სამმართველოს სპორტის განვითარებასთან ერთად დედაქალაქის მოსახლეობის ფიზიკური წრთობის ორგანიზაციულ საკითხთა მოგვარებაც ევალება. მიზანი, იცოცხლეთ, ფრიად მნიშვნელოვანია და კეთილშობილური, მაგრამ საამისო საშუალებანი**

**— ერთობ მოკრძალებული...**

— გეთანხმებით, მილიონნახევრიან ქალაქს თითო-ოროლა ორგანიზაციისა და რამდენიმე ათეული ინსტრუქტორ-მეთოდისტის ძალისხმევა ვერ გაწვდება. ამ ძალებით, რასაკვირველია, მთელ ქალაქს ვერ მოვიცავთ, ამის ილუზია არა გვაქვს. ჩვენი მიზანი, ისევე როგორც საშუალებები, შედარებით მოკრძალებულია: სადაც ხელი მიგვიწვდება, მოსახლეობას მასობრივი სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებაში დავეხმაროთ, ჯანსაღი ცხოვრების წესს, დასვენებას პროპაგანდა გავუწიოთ, აღვადგინოთ შეჯიბრებათა მოწყობის ტრადიცია უბნებში, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, წარმოება-დაწესებულებებში. ამავე მიზანს ემსახურება რამდენიმე საქალაქო ღონისძიება, რომელიც ჩვენი ინიციატივით უკვე რეგულარულად იმართება. პირველ ყოვლისა ვგულისხმობ ჯანმრთელობის სპარტაკიადას, წვევამდელთა სტარტებს, შეჯიბრებებს თბილისქალაქობის და თბილისური გაზაფხულის პროგრამით... სხვათა შორის, ახლახან დამთავრდა ჯანმრთელობის მორიგი საქალაქო სპარტაკიადა სპორტის 12 სახეობაში, რომლის ფინალურ ეტაპში ათასამდე კაცი მონაწილეობდა. სასურველია, რომ ამ ტიპის ასპარეზობები სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანთა მონაწილეობით, წელიწადში რამდენიმეჯერ იმართებოდეს. სხვას რომ თავი დავანებოთ, დიდი სპორტი ხომ მასობრიობას ეფუძნება, მოზრდილები სპორტულ ჯგუფებში ამ გზით ხვდებიან.

**— ახლა ბევრს საუბრობენ იმის თაობაზე, რომ ქვეყნის ბიუჯეტი სპორტის ორმოც-ორმოცდაათ სახეობას ვერ გაწვდება და საჭიროდ მიიჩნევენ ეგრეთ წოდებულ სტრატეგიულ სახეობათა განსაზღვრას...**

— რეალობას ანგარიში უნდა გავუწიოთ. შეუძლებელია სპორტის ყველა სახეობას განვითარების ერთნაირი პირობები ჰქონდეს, თანაც ბიუჯეტის ხარჯზე. პრივილეგია იმ სახეობებს უნდა მიენიჭოს, რომლებიც ტრადიციულია საქართველოსთვის, სადაც კომპეტენტური მწვრთნელები, პერსპექტიული სპორტსმენები გვყავს და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც გაგვაჩნია. ცხადია, დანარჩენ სახეობებსაც უნდა დავეხმაროთ შეძლებისდაგვარად და თუნდაც ელემენტარული საარსებო პირობებით უზრუნველვყოთ. მაგრამ, ვიმეორებ, აქცენტი უნდა ავილოთ წამყვან სახეობებზე და ამ სტრატეგიაზე დავაფუძნოთ ჩვენი სპორტი ახალ ოლიმპიურ ციკლში.

**— დიდ სპორტში რომ საქმე კარგად ვერა გვაქვს, ამაზე ჩვენი სპორტსმენების შედეგებიც მეტყველებენ, სამწუხაროდ, ქართული სპორტის პოტენცია და რეალური მაჩვენებლები საგრძნობლად დაცილდა ერთმანეთს. მთელ რიგ სახეობებში დავთმეთ პოზიციები და ამას, რასაკვირველია, მრავალი მიზეზი აქვს. თქვენ რაში ხედავთ გამოსავალს?**

— წარმატებებს უპირატესად განაპირობებს სწორად შერჩეული სტრუქტურა, სპორტის მართვის ეფექტური სისტემა, პროფესიონალიზმი, მუხლჩაუხრელი შრომა. ცხადია, ყველაფერ ამას სჭირდება მყარი ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური საფუძველი. სამწუხაროდ, ჩვენ ყველა ასპექტში მოვიკოჭლებთ და შედეგიც შესაფერისი გვაქვს. ჩვენი ქვეყანა, შესაბამისად, სპორტიც გარდამავალ პერიოდში იმყოფება, როცა საზოგადოებრივ და კერძო სტრუქტურებს ჯერ კიდევ არ ძალუძთ სპორტის პრობლემათა თუნდაც ნაწილობრივ მოგვარება და მთავარი დამკვეთის როლში კვლავ სახელმწიფო გვევლინება. სახელმწიფო, რომელსაც, მართალია, უჭირს, მაგრამ სპორტს შესაძლებლობის კვალობაზე უყურადღებოდ არ ტოვებს. უკუგება გაცილებით ხელშესახები იქნებოდა, სახელმწიფოს მიერ სპორტისთვის გამოყოფილ თანხას ერთი პატრონი რომ ჰყავდეს. და ეს პატრონი, ცხადია, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი უნდა იყოს. დეპარტამენტი, რომელსაც კანონით დავალებული აქვს ქვეყანაში სპორტის მართვა და რომელიც პასუხისმგებელია სახელმწიფოს წინაშე. სწორედ სპორტის დეპარტამენტმა და შესაბამისმა ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა ჩამოაყალიბონ სპორტის განვითარების, მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადების ერთიანი სისტემა — დაწყებული ბავშვთა სპორტით და პროფესიული სპორტით დამთავრებული. და ამ მიზნით გამოყოფილი სახსრებიც მათ უნდა განაგონ. ამას უთუოდ მოჰყვება პასუხისმგებლობის ხარისხის მკვეთრი ზრდა და შედეგების გაუმჯობესებაც. მიმაჩნია, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, საკვანძო საკითხია.

**— თუ სწორად გავიგე, თქვენ საჭიროდ მიიჩნევთ იმ სახსრების თავმოყრას, რომელიც ბიუჯეტიდან უშუალოდ სპორტისთვის გამოეყოფათ სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებს.**

— დიახ, ასეა, თუმცა კარგად მესმის, რომ ეს მეტად დელიკატური საკითხია და შეთანხმებულ მოქმედებას მოითხოვს. ისიც ცხადია, რომ მოწინააღმდეგენიც ბლომად იქნებიან, მაგრამ იმედია, საბოლოოდ ხალი აზრი გაიმარჯვებს და უწყებრივ ინტერესებზე მაღლა საქმის და სპორტის ინტერესები დადგება.

**— სწორედ საქმის ინტერესებით ნაკარნახევი თქვენი არაერთი საჯარო კრიტიკული გამოსვლა მახსოვს, მაგრამ, მოგეხსენებათ, კრიტიკა არავის სიამოვნებს. არაკეთილმოსურნენი ხომ არ მოგიმრავლდათ?**

— იმის შიშით, ვინმეს არ ვაწყენინო და გადავიმტეროო, გაჩუმება არ ივარგებს. თუ ხედავ, რომ საქმე ფუჭდება, ჯობს ამის შესახებ ხმამაღლა განაცხადო. მაგალითად, მიმაჩნია, რომ სპორტული ფედერაციები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, საქმეს რიგიანად ვერ უძღვებიან. უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი საკითხები მათი ყურადღების მიღმა რჩება და ძირითადად სპორტსმენთა შეკრებით და შეჯიბრებებზე გამგზავრებით არიან დაკავებულნი. არადა, ფედერაცია შტაბად უნდა გვევლინებოდეს, სადაც წყდება სპორტის კონკრეტული სახეობების განვითარების გლობალური საკითხები.

...სათქმელი, განსასჯელი და გასარკვევი სხვაც ბევრია. იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში ქართულ სპორტში დიდი ძვრების მოწმენი გავხდებით, იმისი იმედიც აქვს, რომ თბილისის სპორტული ორგანიზაცია ამ პროცესში თავის ღირსეულ წვლილს შეიტანს.

**ელგუჯა ბერიშვილი**

## კრივი

# ყალთაბანდსაც დაუფასეს ამაგი

ნიუ-იორკის შტატის დაბა კანასტოტაში კრივის „დიდების დარბაზი“ (Hall of Fame) მოქმედებს. მას ედვარდ ბროფი კურირებს. ამ მოღვაწემ შარშან, 1 ნოემბერს აშშ-ისა და კიდევ სხვა ცხრა ქვეყნის 142 კრივის მწერალსა და მეისტორიეს ანკეტა დაუგზავნა და თხოვა, დაესახელებინა 13 კანდიდატი. მათგან ვინც უმეტეს ხმას მოაგროვებს, 15 ივნისს, საგანგებო ცერემონიალზე დარბაზის წევრებად შევრაცხავთო, — შეპირდა ბროფი.

„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

გამოკითხვის შედეგი წინა კვირის სამშაბათს გამოქვეყნდა. 13 რჩეულიდან 10 გარდაცვლილია, ჩვენი თანამედროვე კი ოდენ ექვსია: მოკრივეები შუგარ-რეი ლენარდი, ხოსე ტორესი, ლუის როდრიგესი, ჩოქი რაითი, ფრედი მილერი და დიდი პრომოუტერი დონ კინგი.

რჩეულთა კონტინგენტი ერთობ მრავალფეროვანია: რიჩარდ ფოქსს 1877 წელს კრივის შესახებ მშვენიერი წიგნი დაუწერია, 1936 წელს გარდაცვლილი ჯო ჰამფრიზი კი, „კოხტა ჯო“ რომ ერქვა, 60 ათასზე მეტი შერკინებისას ყოფილა გამომცხადებელი. დარბაზში აურჩევიათ თომ მოლინოც, ამერიკაში მონად რომ იყო და ბატონის გვარით ჩხუბობდა, რითაც თარხნობა დაიმსახურა და 1810 წელს ბრიტანეთს მიაშურა. პატივი ხვდომია წილად 1816 წელს გარდაცვლილ სამუელ ელიასს ანუ „ჰოლანდიელ სემსაც“, ვისაც მიეწერება აპერკოტის გამოგონება.

კარიერის სანწაული ბალანსი — 212 გამარჯვება (44 ნოკაუტი), 27 წაგება და 6 ფრე აქვს 1962 წელს განსვენებულ ცაცია ფრედი მილერს, ვინაც ბუმბულის წონაში 1933-36 წლებში მძლავრობდა. მსუბუქწონოსან ფრედი ველჩს (1927 წელს ალესრულა) ამაზე მეტი — 16 (!) ფრე დაგროვებია. მძიმეწონოსანი ჯო ჯანეტი 1905-1917 წლებში 8-ჯერ (!) ერკინა მომავალ ჩემპიონ ჯეკ ჯონსონს. ბუმბულის წონოსან ჩოქი რაითს (მიიცვალა 1957) 14 წელი უბრძოლია პირველი ტიტულის მოსაპოვებლად (1941), ქვემძიმეწონოსანი პუერტო-რიკოელი ჩემპიონი ხოსე ტორესი კი ჟურნალისტი, ნიუ-იორკის ათლეტური კომისიის თავკაცი და კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (ვბო) პრეზიდენტიც გამხდარა.

და მაინც, სიას ამკობენ ლენარდი და კინგი. „შუგარი“ ახლა 41 წლისაა. იგი 1 მარტს ექტორ მაჩო-კამაჩოს უნდა ერკინოს, რადგანაც ლატაკთა შვილების შესაწევნი ფონდისთვის ფული ჭირდება.

რაკი დიდ რინგს ანკეტების დაგზავნის მომენტში უკვე სრული ხუთი წელი გარიდებოდა, ლენარდი ბროფიმ, დარბაზის წესდების თანახმად, მაინც კანონიერ კანდიდატად შერაცხა, ესაო და რინგზე მის დაბრუნებას მაშინ ვირწმუნებ, გონგს რომ შემოკრავენო.

ლენარდის ბალანსია 36 (25) - 2 - 1. 1976 წელს ოლიმპიადა მოიგო. პროფესიულ რინგზე 1979-89 წლებში ხუთ (!) წონაში მოიპოვა ჩემპიონის სარტყელი. დიდი ბრძოლები გადაიხადა ვილფრედ ბენიტესთან, რობერტო დიურანთან, თომას ჰერნსთან და მერვინ ჰაგლერთან.



66 წლის კინგი რა ხვითოცაა, კარგადაა ცნობილი. კაცი სამ გამოძიებასა და ორ ფედერალურ სასამართლოს დაუძვრა. ორი კაციც მოკლა, მაგრამ ბროფიმ ბრძანა, კინგმა კრივს ვალები სრულად გაუსტუმრა — მის ბადალ გავლენას კრივის ისტორიაში ბარემ ვერავინ დაიკვეხნისო.

კინგი პრომოუტერად სამი ათეული წელია მოღვაწეობს. ამ ხნის მანძილზე გაუმართავს 300-ზე მეტი საჩემპიონო შერკინება, მათ შორის ალი — ფრეზერი (III), ფორმენ — ალი, ლენარდ — დიურანი (I), ტაისონ — დაგლასი, ტაისონ — ჰოლიფილდი. დონს 1990 წელს მეხიკოსითიში მოუწყვია „კრივის დიდი სლემი“, რომელსაც 136 274 მოსეირე მიუზიდავს, რაც მსოფლიო რეკორდია.

კინგი აკი თავადაც აცხადებს, კრივის წარმოჩინებაში ყველანაირი რეკორდი დავამყარე, მაგრამ მაინც სულ სხვა ყოფილა, ამაგს სხვები რომ დაგიფასებენო.

## ჩოგბურთი

AUSTRALIAN OPEN

ავსტრალიის ღია პირველობა

მელბურნი

# თაობათა ჯახი

**დიდ ჩოგბურთში ახალი თაობა მოსულა: ჰინგისი 16 წლისაა, მოია — 20-ის. რა თქმა უნდა, ვერც 25 წლის სამპრასი ანაც 22 წლის პირსი მიიჩნევიან ბებრებად, მაგრამ ამათ უკვე იმდენი დიდების მოხვეჭა მოუსწრიათ, რომ უფროს თაობად აღიქმებიან. ჰოდა, ფინალებიც უთუოდ თაობათა ჯახს გვიქადის.**

ქალთა ნახევარფინალები ხუთშაბათს გაიმართა.

მარი პირსი (საფრანგეთი) — ამანდა კუტცერი (სამხრეთი აფრიკა, 12) 7:5, 6:1. კანადაში დაბადებული, საფრანგეთის სახელით მოასპარეზე და აშშ-ში მცხოვრები პირსი, ავსტრალიის შარშანწინდელი ჩემპიონი რომაა და კორტებზე 7 ტიტული და 2,3 მილიონი დოლარი მოუხვეჭია, მესამედ გავიდა დიდი სლემის ტურნირის ფინალში. პირველ ხელში ეშხიანი მარი 5:1 დაწინაურდა, მაგრამ მტეფი გრაფის გამდები ტანჩია (157 სმ) ამანდამ ანგარიში გაუყაიმა, თუმც კი მერე მინებდა მაღალ ქალს, რომელიც 17-ჯერ გავიდა ბადესთან და 15 ქულა მოიპოვა.

მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 4) — მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ, 14) 6:1, 6:3. ჰინგისი წარმოშობით ჩეხია და სახელი ნავრატილოვას ხათრით ჰქვია. დომინიკის რესპუბლიკაში დაბადებული 25 წლის ფერნანდესი, ორჯერ — 1990 და 1992 წლებში რომ გასულა მელბურნულ ფინალში, მარტინამ პირველად ორი კვირის წინ ძლია — მეზობლად, სიდნეიში. ახლაც იგივე გამეორდა. შვეიცარელმა გოგომ ისევ იოლად მოიგო — მესამე მატჩ-პოინტზე. მას მელბურნში ჯერ ერთი ხელიც არ წაუგია. თუ ასე გააგრძელა, ჰინგისი XX საუკუნეში დიდი სლემის უმრწემესი (ყველაზე მცირეწლოვანი) ჩემპიონი გახდება.

ჰინგისი სასწაულ ჯანზეა. გუშინ პირველი ტიტული — ქალ წყვილთა ჩემპიონობა უკვე მოიპოვა.

ფინალი: ჰინგისი და ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) (4) — ლინდზი დავენპორტი და ლიზა რეიმანდი (ორივე აშშ) (3) 6:2, 6:2

ნახევარფინალი (ხუთშაბათს): ჰინგისი და ზვერევა (4) — ჯიჯი ფერნანდესი (აშშ) და არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) (1) 6:3, 5:7, 6:2; დავენპორტი და რეიმანდი (3) — ჰელენა სუკოვა (ჩეხეთი) და ლარისა ნილანდი (ლატვია) (2) 7:5, 6:3

ფინალმა საათზე ნაკლები გასტანა. გამარჯვებულებმა 180 ათასი დოლარი გაიყვეს. წყვილთა ნახევარფინალი მარტინამ მერი-ჯოს ძლევის შემდეგ ითამაშა, გუშინ კი მხოლოდ ფინალში მონაწილეობამ რომ მოუწია, კმაყოფილი დარჩა, ნაკლებად დავიღალეო.



### ვაჟთა ნახევარფინალები

ხუთშაბათს: კარლოს მოია (ესპანეთი) — მაიქლ ჩანგი (აშშ, 2) 7:5, 6:2, 6:4. დალალებიანი ესპანელი ავსტრალიელი გოგონებისა და მამათმავლების ფავორიტი გამხდარა. მან პირველ წრეში ავსტრალიის შარშანდელი ჩემპიონი ბეკერი გააგდო, მეექვსეში კი შარშანდელი ფინალისტი ჩანგი 2 საათსა და 6 წუთში ზედ მიაყოლა. არადა, ჩანგმა 12 დღის წინ მელბურნშივე, ოლონდაც კუიონგში, „კოლონიალ კლასიკის“ ფინალი თვით სამპრასს მოუგო და ხვალინდელ ფინალშიც მასთან შებმას ფიქრობდა.

ჩანგს 46 უნებური შეცდომა მოუვიდა, მოიას — 31. ესპანელს ბრეიქ-პოინტი 18-ჯერ დაუდგა, მაგრამ მხოლოდ 8-ჯერ გამოიყენა. სამაგიეროდ, წალმა დარტყმებით 23 ქულა მოიპოვა. მოია სიმაღლით 190 სანტიმეტრია და 80 კილოს იწონის.

პარასკევს: პიტ სამპრასი (აშშ, 1) — თომას მუსტერი (ავსტრია, 3) 6:1, 7:6 (7-3), 6:3. სამპრასს წინა ორ წრეში — ჰრბატისთან და კოსტასთან 5-ხელა ბრძოლები გადახდა, ამჯერად კი უკანა ხაზიდან აყუმბარა თიხაზე თამაშის ავსტრიელი დიდოსტატი, ვისაც ველარ გაუჭრა კომპიუტერულმა პროგრამამ. ამას თომასის მენეჯერი ლაითგები მეტოქის თამაშის მოდელს აქმნევინებს და სხვადასხვა სიტუაციაში მისი ქცევის ამოსაცნობად იყენებს.

სამპრასმა 16 ეისი გაახერხა. მუსტერი ამას ელოდა, მაგრამ ბადესთან პიტის გასვლები ვერ გათვალა. სამპრასი ფინალში გავიდა. იქ მეორე ავსტრალიურ ტიტულსა და დიდი სლემის მეცხრე ჩემპიონობას უმიზნებს.

ვაჟ წყვილთა ნახევარფინალები (პარასკევს): მარკ ვუდფორდი და თოდ ვუდბრიჯი (ორივე ავსტრალია) (1) — რიკ ლიჩი და ჯონათან სთარქი (ორივე აშშ) (11) 6:3, 7:6 (7-2), 5:7, 6:1; სებასტიან ლარო (კანადა) და ალექს ობრაიენი (აშშ) (7) — იაკო ელტინგი და პაულ ჰაარჰუისი (ორივე ჰოლანდია) (3) 4:6, 6:2, 6:4, 5:7, 6:2

ირაკლი ნინუა

## რაგბი



# ლომუ ვეღარ ითამაშებს

გუშინ გაგანია გადაცემები შეწყვიტეს ახალი ზელანდიის რადიომ და ტელევიზიამ და ქვეყანას ამცნეს, რომ მსოფლიოს უმძლავრესი გარემარბი, პუკეკოეს ქაუნთიზის, ოკლენდის „ლურჯებისა“ და ქვეყნის ნაკრებ „ოლ ბლექსის“ 21 წლის მშვენება ჯონა ლომუ ისე ავადაა, რომ წელს ალბათ ველარ ითამაშებს.

რაგბის კავშირმა გუშინვე გამართა პრეს-კონფერენცია. გამოცხადდა, რომ ლომუს თირკმლები სერიოზულად აწუხებს, რის გამოც გადაუდებელი წამლობა ჭირდება. ამის გამო ჯონა ვერ ითამაშებს. თამაში რომც შეძლოს, დოპინგკონტროლი მუდმივად ჩაუფლავდება, ისეთი წამლები უნდა სვას.

ლომუს შარშანაც ერთობ უჭირდა. ჯერ ჟურნალისტი შემოელახა, მერე კი მუხლი დაიშავა და ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდებოდა. წლის ბოლოს დიდი ბიჭი ცოტა მოკეთდა და კარგად ითამაშა „ზელანდიელი ბარბაროსების“ ბრიტანულ ტურნეზე.

ამგვარ ტურნეს, რომელშიც ლომუსაც უნდა ემონაწილევა, თებერვალში ოკლენდიც გეგმავს. „ლურჯები“ ინგლისში „ბრისტოლსა“ და „ჰარლიქვინზს“, ფრანგეთში კი „ტულუზს“ უნდა ეთამაშონ. გუნდი ემზადება სამხრეთი ნახევარსფეროს პროვინციათა პირველობის — ზე-12-ისთვის, რომლის შარშანდელი ჩემპიონიც თავადაა.

### რაგბს რუსეთშიც უცქერენ

ამაღამ კარდიფის (უელსი) „არმზ პარკზე“ ევროპის საკლუბო თასის ფინალია: მასპინძელი დერიქ ბევანი, 32 ტესტი რომ უმსაჯია, ინგლისის „ლესთერისა“ და საფრანგეთის „ბრივის“ თამაშსაც გაუძღვება. ორივე ფინალისტი ამ გათამაშებაში ჯერაც უძლეველია — ექვსივე თამაში მოუგია. „ფრანს-პრესის“ ცნობით ფინალს 86 ქვეყნის 35 მილიონი ტელე-მაყურებელი ნახავს. ამ ქვეყანათაგან სააგენტო საგანგებოდ გამოყოფს ვიეტნამს, ინდოეთს, მალაიზიას, საუდეთს, სირიასა და რუსეთს (?)

## ამერიკული ბურთაობა

SUPER BOWL XXXI

# ამერიკა შეიშლება

ბურთაობა ამერიკელთა უსაყვარლესი სპორტია. ხვალ ღამით, ჩვენებურად კი ორშაბათს, გამთენიის 5-ის 18 წუთზე (!) ნიუ-ორლეანსის „ლუიზიანა სუპერ-დოუმში“ წლის უმთავრესი მატჩი დაიწყება: ზე-თასს ანუ სუპერ-ბოულს 31-ედ გაითამაშებენ ბურთაობის ეროვნული ლიგის (NFL) კონფერენციების ჩემპიონები. ჰოდა, უცქირეთ ESPN-ს, რომელიც თამაშის სრულ რეპორტაჟს მსოფლიოს 175 ქვეყანას უჩვენებს!

ბურთაობის პროფ-ლიგა სხვებზე მეტად მოწესრიგებული. გაფიცვები არა ხდება. კონფერენციებსა და დივიზიონებშიც გუნდების ტოლი რაოდენობაა. ერთი ეგაა, რომ ამერიკელები გეოგრაფიაზე ცოტა მწყრალად არიან და დასავლეთ-აღმოსავლეთის გარჩევა უჭირთ.

დახვეწილია კალენდარიც: სექტემბრის დამდეგიდან დეკემბრის ბოლომდე, ზედიზედ 16 უიქ-ენდზე (ორშაბათ საღამოებიანად!) იმართება ზუსტად 16 ტური. გუნდი ორჯერ ეთამაშება თანა-დივიზიონელს, თითოჯერ — სხვა ოთხ თანა-კონფერენციელს და კიდევ მეტოქე კონფერენციის ოთხ წევრს. გუნდს შინაც და გარეთაც 8 თამაში უწევს.

დეკემბრის ბოლოს პლეი-ოფი ჩაღდება. მისი პირველი წრიდან თავისუფლდება თითოეული კონფერენციის ორ-ორი უკეთესი დივიზიონის ჩემპიონი. პლეი-ოფის მატჩებში მასპინძელი ისაა, ვისაც 16 ტურის ჯამში უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა, სუპერ-ბოულის გამართვის ადგილი კი წინდაწინ ირჩევა.

ნიუ-ორლეანსი ზე-თასს მერვედ მასპინძლობს, 72-ათასიანი სუპერ-დოუმი კი — მეხუთედ. წელს მასში შეიბმებიან გათოშილი ვისკონსინის შვილები — გრინ-ბეი, და ნიუ-ინგლენდი, ბოსტონის გუნდი რომაა.

გრინ-ბეი I და II სუპერ-ბოულების გამარჯვებულია (1967-68 წლებში). ახლანდელ ჯილდოსაც, ხალასი ვერცხლის ბურთი რომაა, ამ გუნდის იმჟამინდელი მოძღვრის — ვინს ლომბარდის სახელი ჰქვია.

„მფუთავები“ მას აქეთ დიდ ფინალში პირველად გასულან. „პატრიოტებმა“ 1986 წლის სუპერ-ბოულში ჩაისვარეს. ახლაც ალბათ ასე მოხდება, რაკი 1985 წლიდან მოყოლებული ანუ ზედიზედ 12-ჯერ (!) ზე-თასი ეროვნული კონფერენციის რჩეულმა მოუგია.

| | | მ | წ | ბ | შინ | გარ | ეკ | აკ | დივ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ამერიკის კონფერენცია (აკ)** | | | | | | | | | |
| ალმოსავლეთი | | | | | | | | | |
| * ნიუ-ინგლენდ | პატრიოტები | 11 | 5 | 418:313 | 6-2 | 5-3 | 2-2 | 9-3 | 6-2 |
| ˋ ბუფალო | ნისკარტები | 10 | 6 | 319:266 | 7-1 | 3-5 | 4-0 | 6-6 | 4-4 |
| ˋ ინდიანაპოლის | ულაყები | 9 | 7 | 317:334 | 6-2 | 3-5 | 3-1 | 6-6 | 4-4 |
| მაიამი | დელფინები | 8 | 8 | 339:325 | 4-4 | 4-4 | 1-3 | 7-5 | 6-2 |
| ნიუ-იორკ | რეაქტიულები | 1 | 15 | 279:454 | 0-8 | 1-7 | 1-3 | 0-12 | 0-8 |
| ცენტრი | | | | | | | | | |
| ˋ პიტსბურგ | მეფოლადეები | 10 | 6 | 344:257 | 7-1 | 3-5 | 2-2 | 8-4 | 4-4 |
| ˋ ჯექსონვილ | იაგუარები | 9 | 7 | 325:335 | 7-1 | 2-6 | 2-2 | 7-5 | 5-3 |
| ცინცინატი | მამხალები | 8 | 8 | 372:369 | 6-2 | 2-6 | 2-2 | 6-6 | 5-3 |
| ჰიუსთონ | მენავთობეები | 8 | 8 | 345;319 | 2-6 | 6-2 | 2-2 | 6-6 | 5-3 |
| ბოლტიმორ | ყორნები | 4 | 12 | 371:441 | 4-4 | 0-8 | 2-2 | 2-10 | 1-7 |
| დასავლეთი | | | | | | | | | |
| * დენვერ | ველური ცხენები | 13 | 3 | 391:275 | 8-0 | 5-3 | 3-1 | 10-2 | 6-2 |
| კანზას-სითი | ბელადები | 9 | 7 | 297:300 | 5-3 | 4-4 | 4-0 | 5-7 | 4-4 |
| სან-დიეგო | ბედაურები | 8 | 8 | 310:376 | 5-3 | 3-5 | 1-3 | 7-5 | 5-3 |
| ოკლენდ | ყაჩაღები | 7 | 9 | 340:293 | 4-4 | 3-5 | 1-3 | 6-6 | 3-5 |
| სიეთლ | ზღვის ქორები | 7 | 9 | 317:376 | 4-4 | 3-5 | 2-2 | 5-7 | 2-6 |

**პლეი-ოფი**

ˋ უაილდ-ქარდის: ბუფალო — ჯექსონვილი 27:30, პიტსბურგი — ინდიანაპ. 42:14
* დივიზიონის: დენვერი — ჯექსონვილი 27:30, ნიუ-ინგლენდი — პიტსბურგი 28:3
კონფერენციის: ნიუ-ინგლენდი — ჯექსონვილი 20:6

| | | მ | წ | ბ | შინ | გარ | ეკ | აკ | დივ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ეროვნული კონფერენცია (ეკ)** | | | | | | | | | |
| ალმოსავლეთი | | | | | | | | | |
| ˋ დალას | კოვბოები | 10 | 6 | 286:250 | 6-2 | 4-4 | 8-4 | 2-2 | 5-3 |
| ˋ ფილადელფია | არწივები | 10 | 6 | 363:341 | 5-3 | 5-3 | 8-4 | 2-2 | 5-3 |
| ვაშინგთონ | წითელკანიანები | 9 | 7 | 364:312 | 5-3 | 4-4 | 6-6 | 3-1 | 4-4 |
| არიზონა | მუქი წითლები | 7 | 9 | 300:397 | 5-3 | 2-6 | 7-5 | 0-4 | 4-4 |
| ნიუ-იორკ | გოლიათები | 6 | 10 | 242:297 | 3-5 | 3-5 | 4-8 | 2-2 | 2-6 |
| ცენტრი | | | | | | | | | |
| * გრინ-ბეი | მფუთავები | 13 | 3 | 456:210 | 8-0 | 5-3 | 10-2 | 3-1 | 7-1 |
| ˋ მინესოტა | ვიკინგები | 9 | 7 | 298:315 | 5-3 | 4-4 | 8-4 | 1-3 | 5-3 |
| ჩიკაგო | დათვები | 7 | 9 | 283:305 | 6-2 | 1-7 | 5-7 | 2-2 | 3-5 |
| ტამპა-ბეი | მეკობრეები | 6 | 10 | 221:293 | 5-3 | 1-7 | 4-8 | 2-2 | 2-6 |
| დეტროიტ | ლომები | 5 | 11 | 302:368 | 4-4 | 1-7 | 4-8 | 1-3 | 3-5 |
| დასავლეთი | | | | | | | | | |
| * კაროლინა | პანთერები | 12 | 4 | 367:218 | 8-0 | 4-4 | 9-3 | 3-1 | 7-1 |
| ˋ სან-ფრანცისკო | 49-ელები | 12 | 4 | 398:257 | 6-2 | 6-2 | 8-4 | 4-0 | 6-2 |
| სენთ-ლუის | ყოჩები | 6 | 10 | 303:409 | 4-4 | 2-6 | 4-8 | 2-2 | 4-4 |
| ატლანტა | შევარდნები | 3 | 13 | 309:461 | 2-6 | 1-7 | 3-9 | 0-4 | 3-5 |
| ნიუ-ორლეანს | წმინდანები | 3 | 13 | 229:339 | 2-6 | 1-7 | 2-10 | 1-3 | 0-8 |

**პლეი-ოფი**

ˋ უაილდ-ქარდის: დალასი — მინესოტა 40:15, სან-ფრანცისკო — ფილადელ. 14:0
* დივიზიონის: გრინ-ბეი — სან-ფრანცისკო 35:14, კაროლინა — დალასი 26:17
კონფერენციის: გრინ-ბეი — კაროლინა 30:13

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია
რედაქტორი
თამაზ მიბრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტი მაია აბზიანიძე
კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29